ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

GCRT წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი

# პროფესიონალთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში

## კვლევის ანგარიში

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

თბილისი
2020

წინამდებარე ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

**კვლევის ავტორები:** ანტონ ქელბაქიანი
ნატალია ცაგარელი

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სოფიო ვიბლიანს და ნათია ტაბატაძეს კვლევის პროცესში შეტანილი წვლილისთვის.





## სარჩევი

**შესავალი** ... **4**

**კვლევის დიზაინი** ... **5**
- კვლევის მიზანი და ამოცანები ... 5
- კვლევის მეთოდოლოგია ... 6

**კვლევის შეზღუდვა** ... **7**

**კვლევის ძირითადი მიგნებები** ... **8**
- ადგილობრივი კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში ... 8
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ... 8
- გენერალური პროკურატურა ... 9
- საერთო სასამართლოების სისტემა ... 11
- სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო ... 13
- სპეციალური პენიტენციური სამსახური ... 14
- სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი ... 15
- ადვოკატთა სპეციალიზაცია ... 17
  - *საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია* ... *17*
  - *სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური* ... *18*
- საპროცესო წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის მონაწილეობა ... 20

**რეკომენდაციები** ... **21**

**საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი** ... **23**

**ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი** ... **25**
- ადგილობრივი კანონმდებლობის ზოგადი ანალიზი ... 25
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ... 29
- გენერალური პროკურატურა ... 35
- საერთო სასამართლოების სისტემა ... 42
- სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო ... 46
- სპეციალური პენიტენციური სამსახური ... 53
- სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი ... 57
- ადვოკატთა სპეციალიზაცია ... 62
  - *საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია* ... *62*
  - *სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური* ... *65*
- საპროცესო წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის მონაწილეობა ... 69

# შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართულ პირთა პროფესიული კვალიფიკაცია მართლმსაჯულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი განხორციელების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროცესის მონაწილეთა შერჩევას, დაწინაურებას, პროფესიულ გადამზადებას და მათთვის სამუშაოს შესაბამისი პირობების შექმნას[1].

საქართველოს კანონმდებლობით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებში სპეციალიზებული პირები: სპეციალიზებული მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, სოციალური მუშაკი, ადვოკატი, პრობაციის ოფიცერი, ფსიქოლოგი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, საპატიმრო დაწესებულების პერსონალი[2].

საერთაშორისო სტანდარტებით (პეკინური წესები, რიადის სახელმძღვანელო პრინციპები, ჰავანის წესები), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთავარი მიზანია ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება და არასრულწლოვნის საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რის გამოც, ნაკლებად კეთდება აქცენტი მართლმსაჯულების ისეთ ტრადიციულ მიზნებზე, როგორიცაა სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავის დასჯა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწორად შეირჩნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განმახორციელებელი ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან სწორედ აღნიშნული მიზნების მიღწევაზე.

ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმებისა და კანონმდებლობის ცალკე არსებობას, არამედ მართლმსაჯულებაში მონაწილე პირთა სპეციალიზაციას, მათ შერჩევასა და პროფესიულ გადამზადებას. არასრულწლოვანთა საქმეებში სპეციალიზაციის მქონე პირების ხელმისაწვდომობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნქციონირების შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია[3].

წინამდებარე კვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა” ფარგლებში, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) და ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის (RIVG) მიერ.

კვლევა ფოკუსირებულია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებაზე, როგორიცაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართულ პროფესიონალთა შერჩევის კრიტერიუმების ჩამოყალიბება, მათი სპეციალიზაცია და სპეციალიზებულ პირთა განგრძობადი სწავლება.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ასახვის, მიღწევებისა და გამოწვევების გამოვლენის მიზნით, კვლევითმა გუნდმა 2019 წელს გააანალიზა ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა, სტანდარტები და არასრულწლოვანთა საკითხებზე მომუშავე საჯარო უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

GCRT და RIVG იმედოვნებენ, რომ წინამდებარე ანგარიში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული უწყებებისა და ორგანიზაციებისთვის ღირებული იქნება.

# კვლევის დიზაინი

## კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში პროფესიონალების შერჩევის, გადამზადებისა და სპეციალიზებულ პირთა პრაქტიკის შეფასება და ამ სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენა.

კვლევის ამოცანებია:

- ✓ საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა;
- ✓ ადგილობრივი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი;
- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ 4-წლიანი (2016 – 2019 წწ) პერიოდის განმავლობაში არსებული პრაქტიკის ანალიზი\

[1] გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისთვის (პეკინური წესები), კომენტარი, მ.22.
[2] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ. 16-21.
[3] The evaluation of the implementation of the international standards in the European Juvenile Justice systems, IJJO green paper on child friendly justice, Euroepan Council for Juvenile Justice, administration section.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება შემდეგი სახის მეთოდოლოგიას:

- საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი;
- ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზი;
- საჯარო/სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი;
- თვისებრივი კვლევა (ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები).

ა) საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

ჩატარდა იმ საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეთა გადამზადებისა და სპეციალიზაციის საკითხებს, კერძოდ:

- ✓ გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- ✓ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10;
- ✓ გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“);
- ✓ გაერო-ს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად („ჰავანის წესები“);
- ✓ გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ (ვენის დებულებები).

ბ) ადგილობრივი კანონმდებლობის ანალიზი

კვლევაში მიმოხილულია ადგილობრივი ნორმატიული აქტები, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეთა სპეციალიზაციის, გადამზადებისა და შერჩევის საკითხებს და მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს განსაზღვრავს. კვლევაში ასევე გაანალიზებულია როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტები და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობა.

გ) საჯარო/სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ფარგლებში სპეციალიზაციის პროცესის შესწავლის მიზნით, გამოთხოვილია საჯარო ინფორმაცია შემდეგი უწყებებიდან: შინაგან საქმეთა სამინისტრო; საერთო სასამართლოების სისტემა; იუსტიციის სამინისტრო; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; მთავარი პროკურატურა. გარდა ამისა, საჯარო ინფორმაცია მოძიებულია სხვადასხვა ვებგვერდებიდანაც.





დ) თვისებრივი კვლევა (ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები)

კვლევაში მონაწილეობდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული სახელმწიფო უწყებების მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯმენტის წარმომადგენლები და არასრულწლოვნებთან მომუშავე პრაქტიკოსები. ოფიციალური მიმართვის საფუძველზე რესპონდენტები უწყებებმა შეარჩიეს.

კვლევაში ასევე მონაწილეობდნენ სახალხო დამცველის აპარატის და იმ არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც გარკვეული ფორმით ჩართულნი იყვნენ სპეციალიზაციის პროცესში ან სპეციალიზებულ პროფესიონალებთან თანამშრომლობდნენ.

ჩატარდა 27 ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა: 3 მოსამართლე; 5 პროკურორი; შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 წარმომადგენელი (შსს-ს ცენტრალური აპარატიდან 2 თანამშრომელი და 2 თანამშრომელი შსს-ს პოლიციის აკადემიიდან); საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 1 წარმომადგენელი; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2 წარმომადგენელი; 2 პრაქტიკოსი ადვოკატი; იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის 4 წარმომადგენელი; იუსტიციის სამინისტროს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2 წარმომადგენელი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 4 წარმომადგენელი; სახალხო დამცველის 2 წარმომადგენელი; არასამთავრობო ორგანიზაციის 3 წარმომადგენელი.

სამიზნე ჯგუფებისთვის ინტერვიუს და ფოკუს-ჯგუფის კითხვარები ინდივიდუალურად შეირჩა.

## კვლევის შეზღუდვა

კვლევის მიზანი იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული ყველა სუბიექტის სპეციალიზაციის შეფასება. სამწუხაროდ, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლებმა თვისებრივი კვლევის პროცესში მონაწილეობა არ მიიღეს. კვლევის ანგარიშში ასახულია იუსტიციის სამინისტროდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

კვლევაში სიღრმისეულად ვერ შეფასდა პროკურატურაში ახლად დანერგილი მოწმის/დაზარალებულის კოორდინატორების და საერთო სასამართლოების სისტემაში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების სპეციალიზაციის საკითხი (უწყებებმა არ მოგვაწოდეს შესაბამისი ინფორმაცია).

# კვლევის ძირითადი მიგნებები

## ადგილობრივი კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში

ადგილობრივი კანონმდებლობა, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პერსონალის სპეციალიზაციის წესებს განსაზღვრავს, სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. პერსონალის სპეციალიზაციასთან მიმართებაში ადგილობრივი კანონმდებლობა ადგენს მაღალ სტანდარტს: მართლმსაჯულების სფეროში ჩართული იმ სუბიექტების ჩამონათვალი (მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, პენიტენციური დაწესებულების პერსონალი), რომელთა სპეციალიზაციაც სავალდებულოა, საკმაოდ ვრცელია. საპროცესო წარმომადგენლების და ფსიქოლოგების გადამზადება კონკრეტულად განსაზღვრულ უწყებას არ ევალება, რაც საკანონმდებლო ხარვეზია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე არსებული ჩანაწერი სპეციალიზაციის მაღალ ხარისხს ვერ უზრუნველყოფს და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ქვემოთ წარმოდგენილი პრაქტიკის შეფასება.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ბაზაზე მომზადებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თანამშრომელთა გადამზადება. კვლევის საანგარიშო პერიოდში სისტემის 1220-მა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:

- სპეციალიზაციის გასავლელად პერსონალს არჩევს ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი. შერჩევისას გათვალისწინებულია რეგიონში არსებული კონტექსტი/არსებული სიტუაცია, ადამიანური რესურსი და თანამშრომლის სურვილი. თუმცა, თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სპეციალიზაციის პროცესში ჩართვისას პერსონალის სურვილს არ ითვალისწინებენ. შსს-ს აკადემია შერჩევის პროცესში არ მონაწილეობს;
- სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების მოდული პირველ ეტაპზე 5-დღიანი იყო. მოგვიანებით მისი ხანგრძლივობა 7 დღემდე გაიზარდა. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გადამზადება საკმარისი არ არის და ის საჭირო ინფორმაციის სრულყოფილ მიწოდებას ვერ უზრუნველყოფს.
- პერსონალის განგრძობადი სწავლება არ არის უზრუნველყოფილი და სახელმწიფო განგრძობადი გადამზადების ვალდებულებას ვერ იღებს: გადამზადებას ძირითადად დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ. მისასალმებელია სისტემის თანამშრომელთა განგრძობადი სწავლების მასშტაბი, რომელიც სხვადასხვა საკითხებს მოიცავდა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა;
- შსს არასრულწლოვნების საქმეებზე მომუშავე სპეციალური დანაყოფის შექმნას გეგმავს. დანაყოფი პირველ ეტაპზე მხოლოდ თბილისში იმუშავებს. გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით პირველი ნაბიჯები გადაიდგა ქალაქ რუსთავში, სადაც არასრულწლოვნებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა შეიქმნა. რუსთავში ამ ეტაპზე მხოლოდ ინფრასტრუქტურაა გაუმჯობესებული, პროფესიონალთა განცალკევებული ჯგუფი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული;
- სპეციალიზებულ პოლიციელებს/გამომძიებლებს არ აქვთ განსხვავებული სამუშაო პირობები (ანაზღაურება, სამუშაო გარემო), რაც, შესაძლოა, მათთვის დემოტივაციის საფუძველი გახდეს, რადგან მოწყვლად ჯგუფთან მუშაობა მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს;
- შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების ხარისხს ამოწმებს. კვლევამ აჩვენა, რომ გამოძიებაზე მონიტორინგი ნამდვილად მიმდინარეობს. ანგარიშში შეფასებული არ არის ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობა, რადგან საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება დამატებითი კვლევის ჩატარებას მოითხოვს.





## გენერალური პროკურატურა

პროკურატურაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში პერსონალის სპეციალიზაციის საკითხი კარგად არის ორგანიზებული. საანგარიშო პერიოდში (18.07.2019 წლის მდგომარეობით) 343-მა თანამშრომელმა გაიარა გადამზადება. სულ პროკურატურაში 252 სპეციალიზებული პროკურორი იყო.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:

- სპეციალიზაციის მიზნით პროკურორების შერჩევის კონკრეტული, ნორმატიულად განსაზღვრული კრიტერიუმები არ არსებობს. ზოგადად, პროკურორების შერჩევა ხდება სტაჟირების მეშვეობით. ტრენინგის პროცესში კანდიდატის აკადემიური მოსწრება ფასდება. პირის შერჩევა სასწავლო ცენტრის რეკომენდაციითა და სტრუქტურული ერთეულის გადაწყვეტილებით ხდება.
- პროკურატურის თანამშრომელთა სპეციალიზაციას პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრი კურირებს. 6-დღიანი სასწავლო მოდულის განმავლობაში 22 სესია ტარდება. მოდული მოიცავს მთავრობის N668 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა მიმართულებას და საკითხს. კვლევამ აჩვენა, რომ ტრენინგის შინაარსი, მისი პირვანდელი ვერსიისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და მასში გათვალისწინებულია არსებული პრაქტიკა;
- პროკურატურაში განგრძობადი სწავლების პროცესი რეგულირებული არ არის, რადგან კანონი მხოლოდ ერთჯერად გადამზადებას მოითხოვს. არსებული პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ განგრძობადი სწავლების ფარგლებში ტრენინგები ტარდება ისეთ თემატურ საკითხებზე, როგორიცაა: განრიდებისა და მედიაციის პროგრამა; მოწმე/დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. კვლევის ფარგლებში მონაწილე ყველა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ განგრძობადი სწავლების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა ჰქონდა. პროკურორებმა დადებითად შეაფასეს სასწავლო კურსი და აღნიშნეს, რომ ამ კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნა არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობისას ძალიან დაეხმარათ.
- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სპეციალიზებულ პროკურორთა ნაწილის საქმიანობას პოზიტიურად აფასებენ, თუმცა, მათი თქმით, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა პროკურორები ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით არ მოქმედებდნენ;
- პროკურატურაში შექმნილია სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც მონიტორინგდება ის საქმეები, სადაც არასრულწლოვნები მონაწილეობენ. გენერალურ პროკურატურაში ამჟამად არასრულწლოვანთა საქმეების მონიტორინგს მხოლოდ ერთი პროკურორი ახორციელებს;
- პროკურატურის სისტემაში ბავშვზე მორგებული გარემო, ფაქტობრივად, არ არსებობს. გამონაკლისია ქ. რუსთავის პროკურატურა, სადაც გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ბავშვზე მორგებული, ადაპტირებული სივრცე შეიქმნა;
- პროკურორების ვიწრო სპეციალიზაცია მათი მუშაობის ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდიდა. ამჟამად სპეციალიზებული პროკურორები მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე არ მუშაობენ. მათ არ აქვთ განსხვავებული სამუშაო პირობები (ანაზღაურება, სამუშაო გარემო), რაც, შესაძლოა, დემოტივაციის საფუძველი გახდეს, რადგან მოწყვლად ჯგუფთან მუშაობა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ვიწრო სპეციალიზაციის საჭიროება, შესაძლოა, ყველა რეგიონსა და ქალაქში არ იყოს და პირველ ეტაპზე სპეციალიზაცია მხოლოდ ურბანულად მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში დასაქმებულმა პროკურორებმა გაიარონ. რეგიონებში ვიწრო სპეციალიზაციის პროცესი იქ არსებული სიტუაციის დეტალური შესწავლის შემდეგ უნდა დაიგეგმოს;
- იქ, სადაც არასრულწლოვანთა სპეციალური დანაყოფის შექმნა ვერ ხერხდება, არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირთა დატვირთვა არასრულწლოვანთა საქმეებით უნდა გაიზარდოს, მოტივაციის ასამაღლებლად კი წახალისების გარკვეული მექანიზმი შეიქმნას (წოდების მომატება, სახელფასო დანამატის გაცემა, სასწავლო მივლინებებში გაგზავნა, იზოლირებული სამუშაო ოთახით უზრუნველყოფა და სხვა);
- დადებითად უნდა შეფასდეს მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის მუშაობა, რომელიც პროკურატურის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს ყველა რეგიონში ფუნქციონირებს. მულტიდისციპლინურ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობენ სხვადასხვა უწყებების (გენერალური პროკურატურა, შსს, სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტო, სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტო და სხვა) რეგიონული წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფი აფასებს რეგიონში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებულ მდგომარეობას, ავლენს პრობლემებს და ეძებს გზებს ამ პრობლემების გადასაჭრელად. როგორც კვლევამ აჩვენა, სამუშაო ჯგუფებში მსჯელობენ არამხოლოდ მართლმსაჯულების, არამედ დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებზეც;
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა პროკურატურაში არსებული ხარვეზებიც. პროკურატურაში ამჟამად მოწმე-დაზარალებულის 18 კოორდინატორი მუშაობს. კანონის თანახმად, ყველა მათგანს სპეციალიზაცია უნდა ჰქონდეს გავლილი. თუმცა, კოორდინატორებთან მიმართებაში კანონის ეს მოთხოვნა არ სრულდება: ყველა კოორდინატორი სპეციალიზებული არ არის. აღსანიშნავია, რომ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პროკურატურაში სათანადო გეგმა უკვე არსებობს.





## საერთო სასამართლოების სისტემა

საერთო სასამართლოების სისტემაში კვლევის განხორციელების პროცესში (18.07.2019 წლის მდგომარეობით) 261 სპეციალიზებული მოსამართლე მუშაობდა. აქედან 194 მოსამართლე პირველი ინსტანციის სასამართლოში იყო დასაქმებული, ხოლო 67 მოსამართლე - სააპელაციო სასამართლოში (უზენაეს სასამართლოს მოსამართლეებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოგვაწოდეს). მოსამართლეთა გადამზადება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული მოდულის მიხედვით, რომელიც მთავრობის N668 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა საკითხს მოიცავს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:

- მოდულში, კერძოდ, სისხლის სამართლის ნაწილში, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები შეტანილი არ არის, რაც კანონის დარღვევაა. მოდულის ერთ-ერთ მიმართულებაში - ბავშვთა უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში - საერთაშორისო სტანდარტები შეტანილია, თუმცა, ეს კონკრეტული სტანდარტები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ნაკლებად ეხება.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე მოსამართლეების გადამზადების პროცესი განსხვავებულია: მოსამართლეების ერთმა ნაწილმა 2-3-დღიანი ტრენინგი გაიარა, მეორე ნაწილმა კი - 6-7-დღიანი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველ ეტაპზე ყველა მოსამართლე მოდულით გათვალისწინებული 3-დღიან ტრენინგს დაესწრო, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მოსამართლეთა ნაწილმა დამატებით კიდევ ერთი ტრენინგი გაიარა;
- ყველა რესპონდენტი ადასტურებს, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში განგრძობადი სწავლების მექანიზმი არ არსებობს. დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების ფარგლებში დამატებითი გადამზადების შესაძლებლობა მხოლოდ ზოგიერთ მოსამართლეს მიეცა.
- სპეციალიზაციის მიზნით მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები ჩამოყალიბებული არ არის. რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ არ ახსოვს, რა პრინციპით შეარჩიეს სპეციალიზაციისთვის, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათთვის არ უკითხავთ, სურდათ თუ არა აღნიშნულ პროცესში ჩართვა.
- ამ მხრივ სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა მცირე ზომის სასამართლოებში - იქ, სადაც, მხოლოდ 3-4 მოსამართლე მუშაობს. ასეთ სასამართლოებში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლო საერთოდ არ განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეებს) ყველა მოსამართლე სპეციალიზებული უნდა იყოს, რადგან სასამართლოში საქმის განხილვის ყველა ეტაპზე ყოველთვის ერთიდაიგივე მოსამართლე არ მონაწილეობს.
- სასამართლოებში შიდა ხარისხის კონტროლის სისტემა ჩამოყალიბებული არ არის. ხარისხის კონტროლის სისტემა ძირითადად მიბმულია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებულ დისციპლინური საქმისწარმოების პროცესთან, რაც თვისობრივად სხვა მექანიზმია;
- ამჟამად სასამართლოს სხდომების გარე მონიტორინგი[4] მიმდინარეობს, რაც უშუალოდ სახალხო დამცველის აპარატის მანდატის ფარგლებში ხორციელდება და მას ხარისხის კონტროლის მუდმივმოქმედ შიდა სისტემასთან საერთო არაფერი აქვს.

[4] ხორციელდება ა/ო RIVG-თან მჭიდრო თანამშრომლობით, ჰოლანდიის საელჩოს მხარდაჭერით.





## სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირი იყო. 2020 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილების შემდეგ ორი უწყება გაერთიანდა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო შეიქმნა. 2019 წლის ივნისამდე სააგენტოს თანამშრომლები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაციას სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გადიოდნენ. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების გადამზადებას ამჟამად იუსტიციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:

- სააგენტოში საბაზისო ტრენინგის ხანგრძლივობაა 3 დღე. ტრენინგის განმავლობაში ტარდება 12 სესია, რომელიც მთავრობის N668 დადგენილებით განსაზღვრულ ყველა საკითხს მოიცავს;
- 02.07.2019 წლის მდგომარეობით სპეციალიზაცია გავლილი ჰქონდა სააგენტოს 82 მომსამსახურეს. აქედან 33 სოციალური მუშაკია, 7 - ფსიქოლოგი, ხოლო 33 - პრობაციის ოფიცერი. გადამზადება გავლილი აქვს ასევე 3 პროფესიულ ზედამხედველს, ბიუროს 6 უფროსს და მათ მოადგილეებს. ყველა სოციალურ მუშაკი და ფსიქოლოგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებულია. პრობაციის ოფიცრების სპეციალიზაციისას, თანამშრომელთა შერჩევის პროცესში უპირატესობა ენიჭებათ იმ სპეციალისტებს, რომლებიც არასრულწლოვნებთან მუშაობენ და ე.წ. ქეის მენეჯერები არიან;
- სააგენტოში მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საბაზო სპეციალიზაციასთან ერთად ხორციელდებოდა განგრძობადი სწავლების პროცესი, ე.წ. მეორეული სპეციალიზაცია. განგრძობადი სწავლების პროცესში დამატებითი ტრენინგები ჩატარდა. პირველ ეტაპზე გადამზადებული 82 სოციალური მუშაკიდან, ფსიქოლოგიდან, პროფესიული ზედამხედველიდან და პრობაციის ოფიცრიდან დამატებითი გადამზადება გაიარა 76-მა (92%). გადამზადების მოდული 12 სესიას მოიცავდა;
- სააგენტოში არსებობს ხარისხის კონტროლის - სუპერვიზიის სისტემა. სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს პროფესიული ზედამხედველები, ერთიანი პრაქტიკის განხორციელების მიზნით, ამავე სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების საქმიანობის ხარისხს ამონიტორინგებენ. საზედამხედველო ღონისძიებები ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო და

მხარდამჭერ სფეროებში ტარდება. სამომავლო აქტივობები სუპერვიზიის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე იგეგმება.

- სისტემაში არ არიან საკმარისი რაოდენობის თანამშრომლები, რის გამოც მათ დატვირთულ რეჟიმში უწევთ მუშაობა. ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ვიწრო სპეციალიზაცია მათი საქმიანობის ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

## სპეციალური პენიტენციური სამსახური

არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახით განესაზღვრება თავისუფლების აღკვეთა, არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო ან N5 ქალთა (გოგონების) დაწესებულებაში თავსდება.[5] არასრულწლოვანი ბრალდებულები ( გოგონები ) N2, N8 და N5 დაწესებულებებში გადაჰყავთ. ქალთა N5 დაწესებულებაში 2019 წლის ბოლოს არ იმყოფებოდა არცერთი არასრულწლოვანი გოგონა ბრალდებული/მსჯავრდებული. როგორც კვლევის შეზღუდვის ნაწილში აღვნიშნეთ, პენიტენციური სისტემის თანამშრომლებმა უარი თქვეს თვისებრივი კვლევის პროცესში მონაწილეობაზე. პენიტენციური სისტემიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი ტენდენციები:

- პენიტენციური სისტემაში დასაქმებულია 5 სოციალური მუშაკი და 5 ფსიქოლოგი. ყველა მათგანი სპეციალიზებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. საჯარო ინფორმაციიდან ირკვევა, რომ N2 და N8 დაწესებულებებს ამჟამად არ ჰყავთ არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალიზებული სოციალური მუშაკები; N8 დაწესებულებაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცენტრალური აპარატიდან მიმაგრებულები იყვნენ სოციალური მუშაკები/ფსიქოლოგები;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პენიტენციური სისტემის მოსამსახურეთა სპეციალიზაცია 2015 წლიდან დაიწყო. 2015-2018 წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაცია გაიარა 152-მა მოსამსახურემ. აქედან 91 მამაკაცი იყო, ხოლო 61 - ქალი;
- პენიტენციური სისტემის მოსამსახურეებმა სპეციალიზაცია გაიარეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალურად შემუშავებული მოდულის - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“ - ფარგლებში. ეს მოდული, რომელიც  გაერო-ს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით შემუშავდა, 18 აკადემიურ საათს მოიცავს;

[5] *საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.79.*





- პენიტენციური სისტემიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ  N11 დაწესებულებაში სოციალური მუშაკები/ფსიქოლოგები თვეში საშუალოდ 15-16 საქმეს აწარმოებენ. ამდენივე საქმეა ყოველთვიურად N8 დაწესებულებაშიც, სადაც მიმაგრებულები არიან მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის თანამშრომლები (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები).

ჩვენთვის გამოგზავნილი საჯარო ინფორმაცია გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პენიტენციური სისტემის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებულ სპეციალიზაციის პროცესზე. გვაქვს ინფორმაცია სპეციალიზებული თანამშრომლების რაოდენობის, მათი დატვირთვის და იმ ტრენინგ-მოდულის შესახებ, რომლის მიხედვითაც ხდება გადამზადება. თუმცა, იმის გამო, რომ პენიტენციური სისტემის მოსამსახურეებმა უარი თქვეს თვისებრივ კვლევაში მონაწილეობაზე, არსებული პრაქტიკის შეფასება ვერ მოხერხდა. იმის გამო, რომ არ გვაქვს სრულყოფილი ინფორმაცია, კონკრეტული რეკომენდაციების მიცემა შეუძლებელია.

## სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

2019 წლის ბოლომდე საქართველოში ფუნქციონირებდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი. დანაშაულის პრევენციის ცენტრში დასაქმებულ პირთა გადამზადება სხვა უწყებებში არსებული პრაქტიკისგან განსხვავდება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაცია[6] სავალდებულოა: ა) განრიდებისა და მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორებისთვის და ბ) ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში მონაწილე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის. თუმცა, განრიდებისა და მედიაციის პროგრამისგან განსხვავებით, სადაც მედიატორები მხოლოდ არასრულწლოვნებთან მუშაობენ, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამმართველოში დასაქმებული სპეციალიზებული თანამშრომლები არასრულწლოვნებთან ერთად ზრდასრულ ადამიანებსაც ემსახურებიან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:

[6] 2020 წლის 1-ელი იანვრიდან  ძალაში შევიდა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი გაერთიანდა და ერთ სსიპად - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სახით ჩამოყალიბდა.

- 27.06.2019 წლის მონაცემებით, დანაშაულის პრევენციის ცენტრში დასაქმებული იყო 16 მედიატორი, 13 სოციალური მუშაკი და 1 ფსიქოლოგი. ყველა მათგანს გავლილი ჰქონდა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. გადამზადება მათ იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიარეს;
- მედიატორებისა და სოციალური მუშაკების გადამზადებისთვის შექმნილი ტრენინგ-მოდულები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მედიატორების ტრენინგის ხანგრძლივობა 20 დღით იყო განსაზღვრული, ხოლო სოციალური მუშაკების - 5 დღით. მედიატორებისთვის განკუთვნილი 20-დღიანი ტრენინგიდან 15 დღე მედიატორების ზოგად ფუნქციებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ხოლო 5-დღიანი ტრენინგი - უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას;
- მედიატორების შერჩევისა და გადამზადების პროცესი მიბმულია ერთმანეთზე და საკმაოდ კარგად არის ორგანიზებული. შიდა ინსტრუქციით განსაზღვრულია მედიატორების შერჩევის კრიტერიუმები. პირველ ეტაპზე, მედიატორების შერჩევა ხორციელდება კონკურსის მეშვეობით, რომლის კრიტერიუმებიც შესაბამისი აქტით არის განსაზღვრული. მეორე ეტაპზე შერჩეული კანდიდატი გადის გადამზადების 3-საფეხურიან პროცესს, სადაც ყოველი ეტაპიდან მომდევნო ეტაპზე გადასვლის მიზნით აუცილებელია ტესტირების გავლა. მესამე ეტაპზე კანდიდატი გამოსაცდელი ვადით ინიშნება. გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლის შემდეგ კანდიდატთან ფორმდება ხელშეკრულება.
- სოციალური მუშაკების შერჩევის კრიტერიუმები ნორმატიულად (შიდა სამართლებრივი აქტით) არის განსაზღვრული. ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ კანდიდატები 5-დღიან ტრენინგს გადიან და გადამზადების წარმატებით გავლის შემთხვევაში არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობის უფლებას იღებენ;
- განგრძობადი სწავლების ფარგლებში მედიატორების გადამზადება წელიწადში ხდება რამდენჯერმე, ძირითადად, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით;
- მედიატორების საქმიანობას განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი აკონტროლებს. მენეჯერის ფუნქციები სამართლებრივი აქტით არის განსაზღვრული. სოციალური მუშაკების საქმიანობის ხარისხს სოციალური სამუშაოს პროფესიული ზედამხედველი აკონტროლებს. მისი მოვალეობები შიდა სამართლებრივი აქტით არის გასაზღვრული.





## ადვოკატთა სპეციალიზაცია

### საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

კვლევის პერიოდში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში 4687[7] ადვოკატი იყო რეგისტრირებული. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისთვის აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება და წევრად ყოფნის განმავლობაში საწევრო გადასახადის გადახდა. ადვოკატთა სპეციალიზაცია ძირითადად ხორციელდება: საერთო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მიმართულებით. ადვოკატებს აქვთ შესაძლებლობა და უფლება, რომ სურვილის შემთხვევაში სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებითაც გაიარონ. 4687 ადვოკატიდან 2259 ადვოკატს აქვს საერთო სპეციალიზაცია, აქედან 620 ადვოკატს დამატებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში; 990 ადვოკატი სპეციალიზებულია სისხლის სამართლის მიმართულებით, მათგან 313 ადვოკატი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში[8]; სამოქალაქო სამართლის მიმართულებით 1459 ადვოკატია სპეციალიზებული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სულ 940 ადვოკატია სპეციალიზებული.[9]

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:

- ადვოკატთა ასოციაციისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის ტრენინგ-მოდული მომზადდა გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. სპეციალიზაციის გავლის სურვილის შემთხვევაში, შესაბამისმა კანდიდატმა უნდა მიმართოს ასოციაციას, წარადგინოს რეზიუმე, სამოტივაციო წერილი და შესაბამისი კაზუსი შეავსოს. შემდეგ ეტაპზე მსურველები 3-დღიან ტრენინგს ესწრებიან. მომდევნო ეტაპი ტესტირებაა, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაშიც არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობის უფლება ეძლევათ. ტესტირება 3-კომპონენტიანია და 20 ტესტს მოიცავს. 10 კითხვა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან, 5 - საერთაშორისო სამართლიდან, 5 კი - ფსიქოლოგიური ნაწილიდან. ადვოკატი, რომელიც გადაწყვეტს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გაიაროს

[7] 21.10.2019 მდგომარეობით.
[8] https://www.gba.ge/ka, ნანახია 05.02.2020
[9] ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულების სპეციალიზებული ადვოკატებიდან ზოგიერთს გავლილი აქვს სისხლის მიმართულებით სპეციალიზაცია, ზოგსკი შემდგომ დამატებით - საერთო. ამიტომ ვებგვერდი ზუსტად არ აჯამებს ინფორმაციას ამ კუთხით.

სპეციალიზაცია, მანამდე სისხლის ან საერთო სამართლის მიმართულებით უნდა იყოს სპეციალიზებული;

- ტრენინგ-მოდული შემუშავდა 2016 წელს. რესპონდენტების განმარტებით, ბოლო 2 წელიწადში ყველა ადვოკატმა, ვისაც სურვილი ჰქონდა და შესაბამის კრიტერიუმებსაც აკმაყოფილებდა, გადამზადება გაიარა. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ასოციაციაში არსებობდა განგრძობადი გადამზადების შესაძლებლობა. თუმცა, ამ პროცესში მხოლოდ ადვოკატების მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. ადვოკატთა ასოციაცია UNICEF-ის მხარდაჭერით არსებული ტრენინგ-მოდულის გაუმჯობესებას აპირებს. მოდულის შეცვლის შემდეგ ტრენინგის ხანგრძლივობა გაიზრდება;
- ტრენინგის გავლა სავალდებულოა ყველასთვის, ვისაც ტესტირებაზე გასვლა უნდა. თუმცა, კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ტრენინგების გაცდენის საკითხი მკაცრად არ კონტროლდება. არის შემთხვევები, როდესაც სპეციალიზაციის მსურველი პირები ტრენინგებს სრულად არ ესწრებიან ;
- ადვოკატთა ასოციაცია 2019 წლის განმავლობაში ხარისხის მონიტორინგის დოკუმენტზე მუშაობდა. ასოციაციის წარმომადგენელთა შეფასებით, მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობას და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებას.

## სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური მოწყვლადი ბენეფიციარებისთვის უფასო სამართლებრივ დახმარებას უზრუნველყოფს. იურიდიული დახმარების სამსახური იურიდიულ კონსულტაციას უწევს ყველას - ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე; მისი მოვალეობაა სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენაში (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.) დახმარება და საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულისათვის, არასრულწლოვანი დაზარალებულის და გამოსაკითხი პირის/მოწმის ინტერესების დასაცავად.

იურიდიული დახმარების სამსახური არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს/გამართლებულს და დაზარალებულს უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფს. არასრულწლოვანი მოწმე ამ უფლებით სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ ის გადახდისუუნაროა ან არის გამოსაკითხი პირი/მოწმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX, XX და XXII თავებითა და 144[1] –144[3] მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე სისხლის სამართლის საქმეზე (2019 წლის 1 იანვრიდან).





სისხლის სამართალწარმოებისას იურიდიული დახმარების უფლებით ასევე სარგებლობენ 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები. იურიდიული დახმარების სამსახურში შტატით განსაზღვრული ადვოკატები მუშაობენ. საჭიროების შემთხვევაში ადვოკატებს იწვევენ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან.

- იურიდიული დახმარების სამსახურში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული 161 ადვოკატია (101 საზოგადოებრივი ადვოკატი, ხოლო 60 მოწვეული საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან)[10].
- კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:
- იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა გადამზადება განხორციელდა ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრში, ასოციაციის მიერ შემუშავებული მოდულით;
- იურიდიული დახმარების სამსახურს დადგენილი აქვს დამატებითი კრიტერიუმები და პროცედურები იმ ადვოკატებისთვის, რომლებსაც არასრულწლოვნებთან მუშაობა უნდათ. ვიწრო სპეციალიზაციისთვის საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა: სამოტივაციო წერილის დაწერა; 3-დღიან ტრენინგზე დასწრება და საბოლოო ტესტირება. ტესტირების დროს კანდიდატმა 20 კითხვას უნდა უპასუხოს და 75-ქულიანი ბარიერი გადალახოს.
- ვიწრო სპეციალიზაცია მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობას არ გულისხმობს. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს არასრულწლოვანთა საქმეებთან ერთად სხვა საქმეებიც აქვთ;
- იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის განგრძობითი სწავლების სისტემა 2018 წელს, გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა. განგრძობითი სწავლებისთვის ადვოკატები იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისისა და ქუთაისის ბიუროების თანამშრომლებიდან შეარჩიეს. შერჩევა სამოტივაციო წერილის საფუძველზე მოხდა. გადამზადებულ პირებს დასკვნითი ტესტირება ჩაუტარდათ. დამატებითი ტრენინგი წარმატებით გაიარა 23-მა ადვოკატმა;
- იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული და არასრულწლოვნებთან მომუშავე ადვოკატებისთვის რაიმე განსხვავებული პირობები და წახალისების მექნიზმი გათვალისწინებული არ არის. არასრულწლოვნებთან მუშაობა ადვოკატის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული;
- იურიდიული დახმარების სამსახურში ხარისხის კონტროლის გარკვეული მექანიზმი მუშაობს: შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხდება 10-15 საქმის შერჩევა; შეხვედრა კლიენტთან და კლიენტის მიერ სპეციალური კითხვარის შევსება; საჭიროების

[10] ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციაში მითითებულია რეესტრის 60 ადვოკატი. ფიქსირდება სხვაობა მოწოდებულ საჯარო ინფორმაციასა და ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას შორის.

შემთხვევაში სხვა პირების გამოკითხვა; “ქეის ბანკში” ინფორმაციის შემოწმება და საქმის შინაარსობრივი შესწავლა.

- ტრენინგ-მოდულები ხარისხის კონტროლის პროცესში გამოკვეთილი ხარვეზების საფუძველზე მუშავდება. იურიდიული დახმარების სამსახური ხარისხის კონტროლის სისტემასთან მიბმული სასწავლო ცენტრის გაკეთებას გეგმავს. წინამდებარე კვლევაში არ არის შეფასებული ხარისხის კონტროლის სისტემის ეფექტიანობა, რადგან ეს საკითხი სხვა კვლევის საგანია.

## საპროცესო წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის მონაწილეობა

საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების სპეციალიზაცია სავალდებულოა. თუმცა, მთავრობის დადგენილება არ ადგენს, თუ ვინ უნდა მოახდინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის გადამზადება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენციები:

- მიუხედავად იმისა, რომ კანონით (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გარდამავალი დებულება; მთავრობის დადგენილება) ეს მკაცრად გაწერილი არ არის, ჩამოყალიბებული პრაქტიკა (2016 – 2019 წწ) მოწმობს, რომ საპროცესო წარმომადგენლობას სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები ახორციელებენ. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურ მუშაკთა გადამზადებასთან დაკავშირებით სისტემური მიდგომა არ არსებობს. გადამზადებაზე პასუხისმგებელი უწყება განსაზღვრული არ არის. გადამზადების პროცესი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერაზეა მიბმული. კვლევის პერიოდში გადამზადება გავლილი ჰქონდა 62 სოციალურ მუშაკს;
- სოციალური მუშაკების ჩართულობა ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში არის საკმაოდ მაღალი. გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად, ხშირ შემთხვევაში შსს-ს წარმომადგენლები პირდაპირ სოციალურ მუშაკებს მიმართავენ და ნაკლებად ცდილობენ არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლებთან დაკავშირებას. სოციალური მუშაკები მძიმე, დატვირთულ რეჟიმში მუშაობენ, რაც მათი საქმიანობის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს;
- არ ხდება სოციალური მუშაკების ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება;
- არ არის დადგენილი, რა კვალიფიკაციის ფსიქოლოგი უნდა მონაწილეობდეს პროცესში. ზოგ შემთხვევაში ეს შეიძლება შსს-ს აკადემიის ფსიქოლოგი იყოს, ზოგ





შემთხვევაში კი - მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი ან ნებისმიერი სხვა ფსიქოლოგი, ვისი მოძიებაც იმ დროისთვის შესაძლებელი იქნება.

- ფსიქოლოგების გადამზადებაზე პასუხისმგებელი უწყება კანონით განსაზღვრული არ არის;[11]
- კანონი არ ადგენს არც იმას, რა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს პროცესში ფსიქოლოგის ჩართვა და რა არის კონკრეტულად მისი ფუნქცია.

## რეკომენდაციები

- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართულ ყველა უწყებაში ნორმატიულად განისაზღვროს სპეციალიზაციისათვის პროფესიონალთა შერჩევის კრიტერიუმები;
- ✓ პროფესიონალთა შერჩევის პროცესი განხორციელდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, შეფასების აპრობირებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით; კანდიდატთა შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს: კანდიდატთა სურვილი, კანონმდებლობისა და ბავშვთა დაცვის საკითხების, ეთიკის პრინციპების ცოდნა, არასრულწლოვნებთან მუშაობის გამოცდილება, კანდიდატის უნარები (პრობლემის გადაჭრის, თვითკონტროლის, ეფექტური კომუნიკაციის, ემპათიის და სხვ.), პიროვნული თვისებები და მოტივაცია;
- ✓ გაიზარდოს სპეციალიზაციის კურსის ხანგრძლივობა და მოცულობა; სპეციალიზაციის კურსის განმავლობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პროცესსა და შინაარსზე პროფესიული ზედამხედველობა დაწესდეს;
- ✓ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართულ ყველა უწყებაში ნორმატიულად განისაზღვროს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირთა განგრძობადი სწავლება, სავალდებულო საკითხებისა და თემების ჩამონათვალი და სპეციალიზებული თანამშრომლის მიერ კონკრეტული კრედიტსაათების მოგროვება. ამ პროცესისთვის საჭირო დაფინანსება სახელმწიფომ უზრუნველყოს;
- ✓ თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა მაღალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართულმა ყველა უწყებამ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სპეციალიზებული დანაყოფი გამოყოს;

[11] ფსიქოლოგების ჩართულობასთან დაკავშირებით ა/ო RIVG-მ განახორციელა კვლევა, რომელიც ფოკუსირებულია მხოლოდ ამ საკითხზე. აქედან გამომდინარე, ფსიქოლოგების როლის, ჩართულობის და კვალიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დეტალური ანგარიში. https://www.rivg.ge/media/1001537/2020/01/20/4811c6652cd87c83c6ac059fca3697b5.pdf

- ✓ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სპეციალური დანაყოფის ფორმირებამდე, ან ასეთი დანაყოფის შექმნის შეუძლებლობის შემთხვევაში, სპეციალიზებულ თანამშრომელთა დატვირთვა მოხდეს ძირითადად არასრულწლოვანთა საქმეებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებული პირების პასუხისმგებლობის ზრდის პარალელურად, მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით გატარდეს სხვადასხვა ღონისძიებები (წოდების მომატება, სახელფასო დანამატის გაცემა, სასწავლო მივლინებებით და იზოლირებული სამუშაო სივრცით უზრუნველყოფა და სხვ.);
- ✓ სახელმწიფომ აიღოს ვალდებულება და ქ. რუსთავის რაიონული პროკურატურის შენობაში არსებული, სათანადო ტექნიკით აღჭურვილი და ბავშვზე მორგებული გარემოს მსგავსი ინფრასტრუქტურა მოაწყოს ყველა დიდ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში. ბავშვზე მორგებული გარემო ხელს შეუწყობს ბავშვთან სპეციალიზებული პროფესიონალების გასაუბრების პროცესში კონფიდენციალობის პრინციპის დაცვას;
- ✓ სპეციალიზებულ თანამშრომელთა საქმიანობის ზედამხედველობა განხორციელდეს არა მხოლოდ საქმისწარმოების პროცესის მონიტორინგის მეშვეობით, არამედ შინაარსობრივადაც: სამუშაო პრაქტიკაზე დაკვირვებითა და პროფესიული ზედამხედველობის, სუპერვიზიის მეთოდის გამოყენებით.
- ✓ არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის განისაზღვროს სპეციალიზაციის ერთიანი სტანდარტი. სასამართლო სისტემამ უზრუნველყოს სპეციალიზებულ მოსამართლეთა განგრძობადი გადამზადება;
- ✓ გადაიდგას ნაბიჯები მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით იმ სასამართლოებში, სადაც ამის საჭიროება იკვეთება.
- ✓ ჩამოყალიბდეს მოსამართლეთა საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც განსხვავებული იქნება იმ ფორმატისგან, რომელიც პირდაპირ არის მიბმული დისციპლინური საქმისწარმოების პროცესთან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და თვისობრივად სხვა მექანიზმს წარმოადგენს;
- ✓ ნორმატიულად განისაზღვროს უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფსიქოლოგების, საპროცესო წარმომადგენლებისა და მოწმის/დაზარალებულის კოორდინატორის გადამზადებაზე. ამ სუბიექტების სპეციალიზაცია ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი წესით განხორციელდეს;
- ✓ რეგიონების მიხედვით შეიქმნას ფსიქოლოგთა ბაზა, რაც შესაბამის უწყებას მისცემს შესაძლებლობას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბავშვთან ურთიერთობის პროცესში სპეციალისტი ოპერატიულად ჩართოს;
- ✓ ჩამოყალიბდეს კონკრეტული ინსტრუქცია/რეგულაცია ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის მონაწილეობის აუცილებლობის, მისი როლისა და ფუნქციების თაობაზე;





- ✓ უზრუნველყოფილ იქნას საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა ზეგანაკვეთური შრომის კანონით გათვალისწინებული წესით ანაზღაურება;
- ✓ გაიზარდოს არასრულწლოვანთა საქმეებზე სპეციალიზებულ პრობაციის ოფიცერთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა რაოდენობა. კადრების დამატება მისცემს მათ შესაძლებლობას, რომ თითოეულ ბავშვს უფრო მეტი დრო დაუთმონ;

## საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

საერთაშორისო სამართალში არსებული დებულებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განცალკევებული სისტემის შექმნისა და ამ სისტემების შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტებისკენ მოგვიწოდებს. საერთაშორისო ინსტრუმენტები ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ინტერდისციპლინურ ბუნებას და ამ პროცესში ჩართული ყველა ჯგუფის (პოლიციელები, პროკურორები, მოსამართლეები, დამცველები, სოციალური მუშაკები და ა.შ.) სპეციალური გადამზადების რეკომენდაციას იძლევა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმების ცოდნას. გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი წევრ ქვეყნებს აძლევს რეკომენდაციას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული პროფესიონალებისთვის საერთაშორისო სტანდარტების მიმართულებით მუდმივი გადამზადების სისტემა დანერგონ და ამ მიმართულებით არსებული პროგრესი ქვეყნების მიერ წარდგენილ ანგარიშებში ასახონ.[12]

გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია[13] განსაზღვრავს იმ გარანტიებს, რაც ბავშვების სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად არის საჭირო. გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ უფლებებისა და გარანტიების დაცვაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ იმ სპეციალისტებსა და მოხელეებს, რომლებიც მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში არიან ჩართულნი. მათი ტრენინგები უნდა მიმდინარეობდეს სისტემატურად და უწყვეტად. ეს ადამიანები ზედმიწევნით კარგად უნდა ერკვეოდნენ ბავშვის, განსაკუთრებით კი მოზარდის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გონებრივი და სოციალური განვითარების საკითხებში, აგრეთვე იმ ბავშვების სპეციალურ საჭიროებებში, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს მიეკუთვნებიან: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, იძულებით გადაადგილებული, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე, დევნილი და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვები. ასევე ბავშვები, რომლებიც რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, ლინგვისტურ ან სხვა უმცირესობებს მიეკუთვნებიან.

[12] უ. ვაიდკუნი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ბავშვთა უფლებები.
[13] გაერო-ს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მ.40(2).

ბავშვის უფლებათა კომიტეტი ცალკე აღნიშნავს, რომ მცირერიცხოვნობის გამო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი გოგონები ყურადღების მიღმა რჩებიან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გოგონების ისეთ სპეციფიურ საჭიროებებს, როგორიცაა ძალადობა ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სპეციალისტებისა და ამ სისტემის თანამშრომლების მხრიდან ბავშვისადმი მოპყრობა ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას. სპეციალიზებულ პროფესიონალებთან ურთიერთობამ უნდა განუმტკიცოს მათ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემა, რაც თავის მხრივ განაპირობებს ბავშვების რეინტეგრაციისა და მათ მიერ საზოგადოებაში დადებითი როლის შესრულების შესაძლებლობას.[14]

გარდა ამისა, „პეკინური წესები" განმარტავს, რომ - „პროფესიული განათლება, მუშაობის პროცესში სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება და ინსტრუქტაჟის სხვა სათანადო მოდელები გამოიყენება არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მთელი პერსონალის სათანადო პროფესიული კომპეტენტურობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის".[15] ყველა ამ პირისთვის აუცილებელია მინიმალური მომზადება სამართალში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, კრიმინოლოგიასა და ქმედების მეცნიერებაში. „პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ისეთი ტრენინგი, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას, რომ ეფექტიანად განახორციელოს დაკისრებული პასუხისმგებლობა. კერძოდ, ტრენინგები ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვის კეთილდღეობასა და ადამიანის უფლებათა და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში."[16]

„ვენის დებულებების" თანახმად, ყველა პირმა, ვისაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მოხვედრილ ბავშვთან კონტაქტი აქვს, ან მის მიმართ პასუხისმგებელია, უნდა მიიღოს განათლება და გაიაროს ტრენინგი შემდეგ საკითხებში: ადამიანის უფლებები, კონვენციის პრინციპები და დებულებები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტები და ნორმები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისთვის. იმ პირებს შორის, რომლებმაც ტრენინგი უნდა გაიარონ, არიან: პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მოსამართლეები და მაგისტრატები, პროკურორები, ადვოკატები და ადმინისტრატორები; საპყრობილის ოფიცრები და პროფესიონალები, რომლებიც იმ დაწესებულებებში მუშაობენ, სადაც თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები არიან

[14] გაერო-ს ბავშვთა უფლება კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პ.40; 97.
[15] გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ("პეკინური წესები"), წესი 22.1.
[16] გაერო-ს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად („ჰავანას წესები"), პ.85.





განთავსებულნი; ასევე ჯანდაცვის პერსონალი, სოციალური მუშაკი და სხვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პროფესიონალები.[17]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიუკერძოებელი და ეფექტიანი ადმინისტრირების აუცილებელი ელემენტია პროფესიული კვალიფიკაცია. შესაბამისად, აუცილებელია პერსონალის არჩევის, დაწინაურებისა და პროფესიული მომზადების გაუმჯობესება და მათთვის ყველა პირობის შექმნა, იმისთვის, რომ მათზე დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულება შეძლონ. პოლიტიკური, სოციალური, სექსუალური, რასობრივი, რელიგიური, კულტურული ან სხვა სახის დისკრიმინაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პერსონალის არჩევის, დანიშვნისა და დაწინაურებისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რათა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირება განხორციელდეს მიუკერძოებლად.[18]

# ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი

აღნიშნულ თავში განხილულია ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული პირების სპეციალიზაციის საკითხებს არეგულირებს. გარდა ამისა, პრაქტიკის შეფასების მიზნით განხილულია ამ პროცესში ჩართულ უწყებებში არსებული მდგომარეობა. ასევე წარმოდგენილია ადგილობრივი კანონმდებლობის და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის ანალიზი.

## ადგილობრივი კანონმდებლობის ზოგადი ანალიზი

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები.[19] კანონით არასრულწლოვნებთან მომუშავე მოსამართლის, გამომძიებლის, პროკურორის, პოლიციელის, ადვოკატის, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, მედიატორის, პრობაციის ოფიცრის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალის და შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების

[17] გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ (ვენის დებულებები).
[18] გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ("პეკინური წესები"), წესი 22.2, კომენტარი.
[19] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 16 (1).

პერსონალის სპეციალიზაცია სავალდებულოა.[20] ასეთი სახის ვალდებულება არ არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირების მიმართ.[21] გარდა ამისა, კანონმდებლობით გათვალისწინებულია გამონაკლისები ამ წესიდან ზოგიერთი სახის საგამოძიებო მოქმედებისას, კერძოდ, როდესაც:

ა) ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა ან/და ამოღება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამალა ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ასეთი შემთხვევა ითვლება გადაუდებელ აუცილებლობად და პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების გარეშე, ხოლო მის კანონიერებას შემდგომში სასამართლო ამოწმებს;[22]

ბ) პირის პირადი ჩხრეკა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებების თავიდან მოშორებას. ამ შემთხვევაში ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების გარეშე, რომლის კანონიერებასაც შემდგომში სასამართლო ამოწმებს;[23]

გ) პირის დაკავება ხორციელდება სასამართლოს განჩინების გარეშე, იმ შემთხვევში, როდესაც:

- პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ მისი დაკავების მიზნით დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა;
- პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო;
- პირი, შესაძლოა, მიიმალოს;
- პირი ძებნილია;
- ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.[24]

სრულწლოვანი პირის პროცესში მონაწილე არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის მიმართ საპროცესო მოქმედებებს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები. თუ არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს,

[20] იქვე, მ. 16 (1), 18, 19, 20, 21.
[21] იქვე, 16 (2).
[22] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 120 (8).
[23] იქვე, მ.121 (2)
[24] იქვე, მ.171 (2)





რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, არასპეციალიზებული პირი კი არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესს დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს.[25]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი და ამ პროცესის მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო მოსამართლეების შემთხვევაში – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.[26]

ადგილობრივი კანონმდებლობა, სასამართლო ინსტანციებისა და განსახილველი საკითხების გათვალისწინებით, განსაზღვრავს არასრულწლოვნის საქმეების სასამართლოში გახილვისას მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტებს, კერძოდ:

- რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე, ხოლო თუ საქმე კოლეგიურად განიხილება – სასამართლო კოლეგია, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა;
- სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს სასამართლო პალატა, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, პალატის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა;
- თუ დაზარალებული არასრულწლოვანია, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიაში საქმის კოლეგიურად განხილვისას, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას კოლეგიის/პალატის შემადგენლობაშია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ერთი მოსამართლე.[27]

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი. აღნიშული სტანდარტის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა პირი ვალდებულია გავლილი ჰქონდეს ტრენინგები შემდეგ სფეროებში:

1. მოდული - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მოდულის მიზანია, მსმენელებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით

[25] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მ.16 (1).
[26] იქვე, მ.16 (3).
[27] იქვე, მ.17.

სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში დანერგილი სიახლეები, განსაკუთრებული მიდგომები და სტანდარტები;

2. მოდული - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები. მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები;
3. მოდული - ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები. მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური ასპექტები, ბავშვის განვითარების, ასაკობრივი თავისებურებებისა და ტრავმული გამოცდილების გავლენა ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის ჩამოყალიბებაზე;
4. მოდული - ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე. მოდულის მიზანია მსმენელებს გააცნოს ძალადობის ძირითადი ფორმები და ძალადობაგანცდილი ბავშვის ფიზიკური და ქცევითი ინდიკატორები, აგრეთვე, ძალადობით გამოწვეული სტრესისა და ტრავმის გავლენა ბავშვის განვითარებაზე.
5. მოდული - დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა (პროტოკოლი). მოდულის მიზანია, მსმენელებს გააცნოს დაზარალებული/მოწმე ბავშვის დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული მეთოდი/NICHD პროტოკოლი და მისი გამოყენების პრინციპები.

დადგენილებით განსაზღვრულია ის უწყებები, რომლებსაც ევალებათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განმახორციელებელი შესაბამისი უწყებების თანამშრომელთა სპეციალიზაციის ადმინისტრირება და კოორდინაცია:

- საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრი (სამმართველო) უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში ჩართული პროკურატურის გამომძიებლებისა და პროკურორების გადამზადებას;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში ჩართული გამომძიებლებისა და პოლიციელების გადამზადებას;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში ჩართული სოციალური მუშაკების, მედიატორების, პრობაციის ოფიცრების, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და პატიმრობის დაწესებულების პერსონალის გადამზადებას.[28]





დადგენილებით არ არის განსაზღვრული ის უწყებები, ვისი მოვალეობაც არის ადვოკატების, სოციალური მუშაკების (საპროცესო წარმომადგენლების) და ფსიქოლოგების გადამზადება. ამ საკითხებთან დაკავშირებით ვიმსჯელებთ პრაქტიკის ანალიზის ნაწილში.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა გადამზადებაზე პასუხისმგებელია სსიპ - საქართველოს შსს-ს აკადემია. აკადემიაში შექმნილია სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა გადამზადების პროგრამა. პროგრამის ხანგრძლივობაა 6 დღე (36 საათი). არსებული მოდულით თანამშრომელთა გადამზადება 2015 წლიდან ხორციელდება. მოდული მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- **საერთაშორისო სტანდარტები** - გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია; „პეკინური წესები"; „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები"; გაერო-ს ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10; გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებით; „ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა"; „ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა", როგორც სავალდებულო პრინციპის განმარტება.
- **ადგილობრივი კანონმდებლობა** - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
- **არასრულწლოვანთა დაკითხვა/გამოკითხვის ფსიქოლოგია** - განვითარების თავისებურებები; ბავშვის და მოზარდის განვითარების თავისებურებები; ბავშვისა და მოზარდის კოგნიტური განვითარება; ბავშვისა და მოზარდის ფსიქო-სოციალური განვითარება; განვითარების დარღვევები; ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; კომუნიკაციის უნარის დარღვევა; ქცევითი დარღვევა; ინტელექტუალური, კომუნიკაციური და ქცევითი დარღვევების მქონე ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარების თავისებურებები; ბავშვთა მიმართ ძალადობა; ძალადობის ფორმების განსაზღვრა; ძალადობის ინდიკატორები; ძალადობის რისკ-ფაქტორების დადგენა; ძალადობისადმი მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორების განსაზღვრა; არასრულწლოვანთა

[28] საქართველოს მთავრობის დადგენილება №668 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ.

დაკითხვის/გამოკითხვის სპეციფიური ასპექტები; გარემოს მოწყობა, დროისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა; ბავშვთა შთაგონებადობა; შეკითხვის ტიპები; აქტიური მოსმენა; NICHD პროტოკოლი.[29]

2015 წლიდან 2019 წლის ივლისამდე გადამზადების კურსებზე წარდგენილი იყო 1890 თანამშრომელი (1552 კაცი და 388 ქალი). პროგრამა წარმატებით დაასრულა 1363-მა თანამშრომელმა. წლების მიხედვით:

| წელი | ჩაირიცხა | დაამთავრა |
|---|---|---|
| 2015 | 929 | 327 |
| 2016 | 1092 | 491 |
| 2017 | 415 | 328 |
| 2018 | 219 | 186 |
| 2019 | 40 | 31 |

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 02/07/2019 მდგომარეობით უწყებაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული 1220 თანამშრომელი მუშაობდა (966 კაცი და 254 ქალი).

იხ. ცხრილი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით.

[29] შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 3 19 01717309, 02/07/2019 და N MIA 3 19 02427831, 13.09.2019.





| **შინაგან საქმეთა სამინისტრო** | | **სპეციალიზებული თანამშრომელი** | | |
|---|---|---|---|---|
| N | სტრუქტურული ქვედანაყოფი | სულ | კაცი | ქალი |
| 1. | ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი | 277 | 966 | 254 |
| 2. | აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი | 14 | 192 | 85 |
| 3. | იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი | 130 | 110 | 2 |
| 4. | კახეთის პოლიციის დეპარტამენტი | 75 | 64 | 11 |
| 5. | სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტი | 35 | 27 | 8 |
| 6. | სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი | 111 | 91 | 20 |
| 7. | შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი | 82 | 65 | 17 |
| 8. | ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტი | 61 | 39 | 22 |
| 9. | გურიის პოლიციის დეპარტამენტი | 20 | 12 | 8 |
| 10 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი | 93 | 76 | 17 |
| 11. | მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი | 27 | 20 | 7 |
| **სულ** | | **1220** | **966** | **254** |

შსს-ს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის მიხედვით, სპეციალიზაციის მიზნით თანამშრომელთა შერჩევისას ითვალისწინებენ სამუშაო არეალის სპეციფიკას და არსებულ ადამიანურ რესურსს. სპეციალიზაციის კურსზე შსს-ს აკადემიაში წარდგენა ხდება ნებაყოფლობით, პიროვნული მახასიათებლების, პროფესიული გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.[30] შსს-ს აკადემია თანამშრომელთა შერჩევის პროცესში არ მონაწილეობს.

[30] შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილიN MIA 3 19 02427831, 13.09.2019.

თვისებრივი კვლევის დროს ერთ-ერთმა რესპონდენტმა განმარტა, რომ გადამზადებისთვის თანამშრომლის შერჩევის პროცესში ორი ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას: ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი განსაზღვრავს, რა საჭიროება აქვთ ადგილზე და რეალური მდგომარეობის მიხედვით ადგენს თანამშრომლების რაოდენობას და ითვალისწინებენ თანამშრომლის სურვილს, უნდა თუ არა მას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გადამზადების გავლა.

> *„შერჩევას აქვს ორი კომპონენტი. სპეციალიზაციის საჭიროებას განსაზღვრავს თვითონ ხელმძღვანელი. მან უკეთ იცის, რა ადამიანური რესურსი აქვს თავის დანაყოფში, იქნება ეს სამმართველო თუ განყოფილება ... მეორე არის სურვილი თვითონ იმ ადამიანის, რომელმაც არასრულწლოვნების საქმეზე უნდა იმუშაოს. შემხვედრიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ძალიან კარგი გამომძიებლები არიან, მაგრამ არასრულწლოვნებთან მუშაობას ურჩევიათ, რომ უფრო მძიმე საქმეებზე იმუშაონ.“*

თუმცა, ერთ-ერთმა რესპოდენტმა, რომელიც გადამზადების პირველი ჯგუფის მონაწილე იყო, აღნიშნა, რომ გადამზადების სურვილი მას არ გამოუთქვამს, რადგან სპეციალიზაციის კურსის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. მან სპეციალიზაცია გაიარა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მისი წინასწარი ინფორმირების გარეშე:

> *„მე არ გამომითქვამს სურვილი. გულწრფელად რომ გითხრათ, არც ვიცოდი მსგავსი კურსი თუ არსებობდა. კადრებიდან დაგვირეკეს, აკადემიაში უნდა წახვიდეთ და კურსი გაიაროთო.“*

რესპონდენტების განმარტებით, თბილისში, საპილოტე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალური დანაყოფის შექმნა, რომელიც მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშავებს. დანაყოფი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გადამზადებული გამომძიებლებით დაკომპლექტდება. მათი განმარტებით, ასევე დაიწყეს ბავშვის ინტერესებზე მორგებული/ადაპტირებული გარემოს მოწყობა და პირველ ეტაპზე ასეთი სივრცე რუსთავში მოაწყეს. გარდა ამისა, შსს-ს აკადემიაში გამოყოფილია სპეციალური ოთახი, რომელსაც მოწმე/დაზარალებული ბავშვების გამოკითხვა/დაკითხვისთვის იყენებენ.

რესპონდენტების განმარტებით, ტრენინგ-მოდული, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შსს-ს თანამშრომლების გადამზადება, 2015 წელს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე შეიქმნა. თემატიკა განსაზღვრულია მთავრობის დადგენილების შესაბამისად. მოდულმა ერთადერთი ცვლილება ხანგრძლივობის კუთხით განიცადა: პირველ ეტაპზე ის 6-დღიანი იყო, ამჯერად კი 7-დღიანია.





> *„ტრენინგი 7 დღე გრძელდება. მე-8 დღე საგამოცდოა. თავიდან ტრენინგი იყო 5-დღიანი, დაახლოებით 30 სასწავლო საათს მოიცავდა. ამჟამად არსებულ მოდულს 2 დღე დაემატა.“*

> *„განგრძობადი სწავლება არ არის ხელმისაწვდომი. აკადემიაში გვქონდა სურვილი, რომ მეორე, უფრო ჩაღრმავებული კურსი გაგვეკეთებინა. სამწუხაროდ, არ არის რესურსი და მე ვიტყოდი, არც პოლიტიკური ნება. ერთი და იგივე ადამიანის აკადემიაში მეორედ გამოგზავნა რაღაც პრობლემებთან არის დაკავშირებული.“*

რესპონდენტთა განმარტებით, შსს-ს აკადემიაში განგრძობადი სწავლა ხელმისაწვდომი არ არის.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გადამზადების პროცესში მიღებული ცოდნა საკმარისი არ იყო. მეორე რესპონდენტმა კი განაცხადა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, ზოგჯერ თანამშრომლებს აკადემიის მიღმა ჩატარებულ რიგგარეშე (ე.წ Ad hoc) ტრენინგებზე დასწრებას სთავაზობენ.

შსს-ს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2018 წლიდან დღემდე, არასრულწლოვნებთან მუშაობის სტანდარტებთან დაკავშირებულ საკითხებზე 500 პატრულ-ინსპექტორი და 100 გამომძიებელი გადამზადდა. გარდა ამისა, 50-მა გამომძიებელმა UNICEF-ის ფინანსური მხარდაჭერით, დამატებითი გადამზადების 5-დღიანი კურსი გაიარა. გადამზადებისთვის შეირჩნენ გამომძიებლები იმ ქალაქებიდან/რაიონებიდან, სადაც ყველაზე მაღალია არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა. 2019 წლის იანვარში, ისევ UNICEF-ის ფინანსური მხარდაჭერით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზებულმა 20-მა გამომძიებელმა გაიარა დამატებითი 4-დღიანი კურსი, რომელიც სამართლებრივ საკითხებთან ერთად გამოკითხვა/დაკითხვისას ბავშვებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს მოიცავდა.[31]

> *„კურსი ძირითადად მართლმსაჯულების კოდექსზეა ფოკუსირებული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მხოლოდ სამართლებრივი აქტების ცოდნა არ არის. გამომძიებელს, რომელიც ბავშვთან მუშაობს, სამართლებრივი აქტების ცოდნასთან ერთად გარკვეული უნარ-ჩვევებიც უნდა ჰქონდეს. ამიტომ ჩვენ გამომძიებლებს აკადემიის მიღმა დამატებითი ტრენინგების გავლის შესაძლებლობასაც ვთავაზობთ.“*

არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების ხარისხის მონიტორინგს შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი (რომელიც 2019 წლის თებერვალში შეიქმნა) აწარმოებს.

[31] შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 3 19 02427831, 13.09.2019.

დეპარტამენტი უზრუნველყოფს გამოძიებაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას და მათი აღმოფხვრისა და გამოძიების ხარისხის გაზრდის მიზნით, გამომძიებლებისათვის ადგენს რეკომენდაციებს და სახელმძღვანელოებს. გამოძიების ხარისხის მონიტორინგი გამოძიების ელქტრონული პროგრამის მეშვეობით, გამოკითხვის ოქმების, საქმისა და მასთან დაკავშირებული სხვა ჩანაწერების გაცნობის საფუძველზე ხდება. ინტერვიუების პროცესში რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ შიდა კონტროლის მექანიზმი სამინისტროს ქვედანაყოფებიდან მიღებული შეტყობინებების მონიტორინგსაც გულისხმობს[32].

არასრულწლოვნებთან მომუშავე პირებს რაიმე სახის განსხვავებული სამუშაო პირობები (ანაზღაურება, სამუშაო გარემო) არ აქვთ, რაც თვისებრივი კვლევის პროცესში რესპონდენტებმაც დაადასტურეს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ადრე უფრო ნაკლები მოტივაცია ჰქონდათ და ეს ვითარება ახლა ნელ-ნელა იცვლება. უმეტესობა ფიქრობს, რომ სპეციალური დანაყოფის შექმნა ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას გამოასწორებს.

> *„ჩემი გამოცდილებით რომ გითხრათ, თავიდან იყო უფრო დაბალი მოტივაცია. როცა დაიწყო საუბარი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაზე, რაღაც მითებით ხელმძღვანელობდნენ: აი, დაგვემატება ახალი საქმე სხვა საქმეებთან ერთად და ჩვენი სამუშაო გრაფიკი კიდევ უფრო დამძიმდება. ბენეფიტს ვერ ხედავდნენ, თუმცა, დატვირთვა რომ გაეზრდებოდათ, იმას ხედავდნენ. ამის გამო დიდად მოტივირებულნი არ იყვნენ. დღეს ვითარება შედარებით გამოსწორდა: ბევრი ადამიანი გადამზადდა და არასრულწლოვანთა საქმეები მათზე გადანაწილდა. ახლა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი აღარ იტვირთება და შრომაც მეტ-ნაკლებად შეუმსუბუქდათ.“*

რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს იმ გამოწვევების თაობაზე, რომელიც სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების საკადრო დეფიციტს, მათ კვალიფიკაციას და მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტრას უკავშირდება:

> *„რეგიონებში არ არის საკმარისი რაოდენობის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. პოლიციელები ხშირად ამბობენ, რომ სოციალურ მუშაკებს მუშაობის დაბალ მოტივაციასთან ერთად კომპეტენციაც დაბალი აქვთ. ხშირად პოლიციელს უწევს ხოლმე სოციალური მუშაკების საწვავით, ან ავტომანქანით გადაადგილების უზრუნველყოფა.“*

[32] შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი N MIA 3 19 02427831, 13.09.2019.





## გენერალური პროკურატურა

კანონის თანახმად, არასრულწლოვნების მართლმსაჯულებაში ჩართული პროკურატურის გამომძიებლებისა და პროკურორების გადამზადებას საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრი (სამმართველო) უზრუნველყოფს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში პროკურორების სპეციალიზაციისთვის განკუთვნილი მოდული 6-დღიანია. ტრენინგის განმავლობაში ტარდება 22 სესია. სესიაზე პროკურორები და გამომძიებლები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, ფსიქოლოგიას და არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკას სწავლობენ:

- **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტები** (პეკინური წესები, ბავშვის უფლებების კონვენცია, რიადის სახელმძღვანელო პრინციპები, ჰავანის წესები, ბავშვის უფლებების კომიტეტის რეკომენდაციები და ზოგადი კომენტარი 10, ინსტრუქცია სს მართლმსაჯულების სისტემაში მყოფი ბავშვების შესახებ, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამის გამოყენების პრინციპები, გაერო-ს ინსტრუქცია დანაშაულის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების შესახებ);
- **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი** კოდექსის მიღების მიზანი; კოდექსის მოქმედების სფერო; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართული პირების სპეციალიზაცია; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები; არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონიერი წარმომადგენელი, საპროცესო წარმომადგენელი; არასრულწლოვანთა მიმართ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თავისებურებანი, არასრულწლოვნის მიმართ ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება; ინდივიდუალური შეფასების ანგარიში; არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებები; განრიდება/მედიაცია; სასამართლო განხილვის თავისებურებები; სასჯელის დანიშვნა; სასჯელის აღსრულება.
- ბავშვის განვითარება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით; ანტისოციალური ქცევა; ინტელექტუალური განვითარების დარღვევა; კომუნიკაციის განვითარების დარღვევა; საზოგადოებისა და ოჯახის გავლენა მოზარდზე; სტრესი და ტრავმა;ძალადობის ფორმების განსაზღვრა; ძალადობის გამომწვევი მიზეზები/რისკ ფაქტორები; ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგები;

- გამოკითხვა/დაკითხვისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა; დროისა და ხანგრძლივობის მნიშვნელობა; შეკითხვის ტიპები და შთაგონებადობა; აქტიური მოსმენა; NICHD პროტოკოლი.

პროკურატურის სისტემაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის პროცესი 2015 წლიდან დაიწყო. 2015 წლიდან დღემდე ტრენინგი ჩაუტარდა 16 ჯგუფს და 343 თანამშრომელი გადამზადდა. მათ შორის იყვნენ მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერები, პროკურორები, პროკურატურის გამომძიებლები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები. ტრენინგში მონაწილე პირებიდან სპეციალიზაცია ვერ გაიარა ერთმა მონაწილემ.

ამჟამად (18.07.2019 წლის მდგომარეობით) პროკურატურის სისტემაში 252 სპეციალიზებული პროკურორია ( 71 ქალი და 181 მამაკაცი).

იხილეთ დეტალური ცხრილი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით:

| სტრუქტურული დანაყოფი | რაიონი | სულ | ქალი | კაცი |
|---|---|---|---|---|
| გენერალური პროკურატურა | | 58 | 19 | 39 |
| აჭარის ა/რ პროკურატურა | | 19 | 1 | 18 |
| თბილისის პროკურატურა | თბ. პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძ. განყოფილების პროკურატურა | 24 | 7 | 17 |
| | თბ. პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი | 2 | | 2 |
| | თბილისის ძვ. რაიონული პროკურატურა | 7 | 5 | 2 |
| | თბ. ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურა | 5 | 3 | 2 |
| | თბ. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურა | 4 | 2 | 2 |
| | თბ. ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა | 9 | 3 | 6 |
| | თბ. გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურა | 6 | 2 | 4 |
| სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა | | 11 | 1 | 10 |
| შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა | | 21 | 7 | 14 |
| ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა | | 19 | 6 | 13 |
| კახეთის საოლქო პროკურატურა | | 17 | 5 | 12 |
| დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა | | 16 | 4 | 22 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა | | 23 | 6 | 17 |
| აფხაზეთის ა/რ პროკურატურა | | 1 | | 1 |
| **სულ** | | **252** | **71** | **181** |





პროკურატურიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, პროფესიული განვითარების მიზნით პროკურორებს პერიოდულად სხვადასხვა ტრენინგები უტარდებათ:

- 2016-2018 წლებში შშმ პირებთან კომუნიკაციის თემაზე 8 ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის ფარგლებშიც 143 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი გადამზადდა;
- 2016 წელს, აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობით, საქართველოს პროკურატურისა და შსს-ს წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგი არასრულწლოვანთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და კომპიუტერული დანაშაულის თემაზე. ტრენინგი 20-მა პროკურორმა გაიარა;
- 2016-2018 წლებში ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების თემაზე 3 ტრენინგი ჩატარდა: აქედან ერთი უნგრეთში, ხოლო მეორე აშშ-ში. ტრენინგების მთავარი მიზანი იყო ბავშვთა პორნოგრაფიის გამოძიების ძირითადი ტექნიკის და აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს რესურსების შესწავლა. სწავლებაში 20 პირი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორებიც;

- ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით 2018-2019 წლებში ჩატარდა HELP-ის დისტანციური სასწავლო კურსი თემაზე - „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“. კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა 20-მა პროკურორმა გაიარა;
- 2016-2017 წლებში არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე ჩატარდა ერთობლივი სამუშაო შეხვედრა სპეციალიზებული პროკურორების, მოსამართლეების, ადვოკატების, სოციალური მუშაკებისა და მედიატორების მონაწილეობით. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ პერიოდში არსებული გამოწვევები და განრიდება/მედიაციის საკითხები; სულ გაიმართა 10 სამუშაო შეხვედრა, სადაც 106 სპეციალიზებული პროკურორი მონაწილეობდა;
- ოჯახურ დანაშაულებზე სპეციალიზებული პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების მოსამზადებლად წინასწარ შემუშავდა „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალიზებული სასწავლო კურსი“. ამ კურსს ძირითადად ის პროკურორები გადიან, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არიან სპეციალიზებულნი. 2016-2019 წლებში სულ 7 კურსი ჩატარდა და 187 პროკურორი და გამომძიებელი გადამზადდა.
- 2018 წელს შემუშავდა სასაწავლო კურსი - „დაზარალებული, მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დაკითხვა/გამოკითხვა“. 2018-2019 წლებში აღნიშნული პროგრამის მეშვეობით 3 ჯგუფი და 50 პროკურორი და გამომძიებელი გადამზადდა;
- 2016-2018 წლებში პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის ჩატარდა 21 ტრენინგი თემაზე - „ანტიდისკრიმინაციული საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“. ამ ტრენინგის ფარგლებში გადამზადება 452-მა პირმა გაიარა.

პროკურატურის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, სპეციალიზაციისთვის თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუმებია: პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები; მოტივაცია; ხელმძღვანელის რეკომენდაცია; საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის და პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ცენტრის რეკომენდაცია.[33]

თვისებრივი კვლევისას რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ სპეციალიზაციისთვის თანამშრომელთა შერჩევისთვის მკაცრად გაწერილი კრიტერიუმები არ არსებობს. პროკურატურაში თანამშრომლად აყვანის პირველი ეტაპი სტაჟირებაა. სტაჟიორები გადამზადებას სასწავლო ცენტრში გადიან. ცენტრში მათ აკადემიურ მოსწრებას და უნარ-ჩვევებს აკვირდებიან. სპეციალიზაციისთვის პროკურორების შერჩევა სწორედ ამ დაკვირების საფუძველზე, სასწავლო ცენტრის რეკომენდაციით და კონკრეტული სტრუქტურული

[33] საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/52597, 18.07.19 წერილი.





ერთეულის მენეჯერის გადაწყვეტილებით ხდება. რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებული იყო მათი სურვილიც.

*„ჩემი შერჩევა მოხდა პროკურორად დანიშვნიდან ერთი წლის შემდეგ, როცა გარკვეული პრაქტიკა უკვე მიღებული მქონდა. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეს კრიტერიუმი იყო დამოკიდებულება არასრულწლოვნების მიმართ და პროფესიული უნარ-ჩვევები. რადგან საქმე გვაქვს მოწყვლად ჯგუფთან, მნიშვნელოვანია როგორც პროფესიული, ისე პიროვნული თვისებები... კი, ჩემი სურვილიც იყო.“*

რესპონდენტების უმრავლესობა დადებითად აფასებს იმ მოდულს, რომლის მიხედვითაც ისინი გადაამზადეს. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, მოდულის შინაარსი ზუსტად შეესაბამება მთავრობის N668 დადგენილებას, რაც პროკურატურიდან მიღებული საჯარო ინფორმაციითაც დასტურდება. მეორე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მოდული, რომლის მეშვეობითაც პროკურორების გადამზადება ახლა ხდება, განსხვავდება იმ მოდულისგან, რომელსაც გადამზადების პირველ ეტაპზე იყენებდნენ. ამჟამად მოქმედ მოდულში განსახილველად შეტანილია პრაქტიკული მაგალითებიც, ის, რისი აქტუალობაც ახალი კანონმდებლობის აღსრულების პროცესში გამოიკვეთა:

*„ეს ტრენინგ-მოდული ინფორმაციული, პრაქტიკული და გამოსაყენებელია. გათვალისწინებულია როგორც საკანონმდებლო, ისე ფსიქოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები, რაც ნამდვილად ძალიან მეხმარება არასრულწლოვანთან მუშაობის პროცესში. ჩვენთვის - კოორდინატორებისთვის გადამზადების პირველი ეტაპი 2-დღიანი იყო. მეორე ეტაპი ფსიქოლოგიურ ნაწილში უფრო სიღრმისეული იყო. სპეციალიზაცია კანონის ამოქმედებამდე გავიარე. ეს ხდებოდა 2015 წელს. გადამზადების პირველი ჯგუფი იყო... ვფიქრობ, რომ საკმარისი ცოდნა მივიღე.“*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პროკურორების სპეციალიზაციის დონე დამაკმაყოფილებელია. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ადვოკატებთან შედარებით პროკურორების გადამზადების დონე უფრო მაღალია. მეორე რესპონდენტის თქმით კი, ის პროცესს 3-4 წლის წინ აკვირდებოდა და მაშინ პროკურორები ბავშვებთან ურთიერთობის დროს საკმაოდ ხისტები იყვნენ.

სპეციალიზებული პროკურორების კვალიფიკაციის მიმართ მოსამართლეთა დამოკიდებულებაც განსხვავებულია. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ის ბავშვის მიმართ პროკურორის დამოკიდებულებით სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა. მეორე მოსამართლემ კი აღნიშნა, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა პროკურორები ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით არ მოქმედებდნენ.

*„სპეციალიზებულ მოსამართლეებთან მიმართებაში პრობლემა უფრო ნაკლებია. უფრო მეტი პრობლემაა სპეციალიზებულ მხარეებში: ადვოკატს და პროკურორს ვგულისხმობ. პროკურორების გარკვეულმა ნაწილმა, ასე თუ ისე, გადამზადება გაიარა. ადვოკატურაში კიდევ უფრო რთული სიტუაციაა. მხოლოდ გადამზადების გავლა პროკურორებისთვის საკმარისი არ არის. იგივეს თქმა შემიძლია მეორე მხარეზეც.“*

რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ სისტემაში არსებობს განგრძობადი სწავლის შესაძლებლობა. მათი განმარტებით, პირველადი გადამზადების შემდეგ, ისინი წელიწადში ერთხელ მაინც ესწრებიან ტრენინგებს ისეთ თემებზე, როგორიცაა: განრიდებისა და მედიაციის პროგრამა; NICHD დაკითხვის პროტოკოლი; ოჯახური ძალადობა და ა.შ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ პირველადი სპეციალიზაციის შემდეგ დამატებით კიდევ 6-7 ტრენინგი გაიარა. პროკურატურაში განგრძობადი სწავლების სისტემა რომ არსებობს, ეს პროკურატურიდან მიღებული საჯარო ინფორმაციითაც დასტურდება.

პროკურატურის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, სპეციალიზებული თანამშრომლების საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის საფუძველზე მიმდინარეობს, რა დროსაც ძირითადად განრიდებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესი მოწმდება. მონიტორინგი ხორციელდება სისტემატურ რეჟიმში - ყოველთვიურად და მოწმდება, რამდენად დასაბუთებული და დროულია პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობა.[34]

რესპონდენტების უმრავლესობა ადასტურებს, რომ ხარისხის კონტროლის მიზნით პროკურატურაში დანერგილია სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა, რომელიც გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა. არასრულწლოვანთა საქმეებზე ზედამხედველობის განმახორციელებელი პროკურორი (ამ ეტაპზე მხოლოდ 1 პროკურორი გენერალურ პროკურატურაში), ყოველდღიურ რეჟიმში, ონლაინ აკვირდება ყველა იმ საქმის მიმდინარეობას, სადაც არასრულწლოვნები ფიგურირებენ. თუ გამოძიების პროცესში რაიმე სახის პრობლემა გამოიკვეთება, მას შეუძლია პროკურორს მყისიერად დაუკავშირდეს და რეკომენდაცია მისცეს. მონიტორინგის საფუძველზე დგება შემაჯამებელი, წლიური ანგარიში. ანგარიში საჯაროა და ის ვებ-გვერდზეა განთავსებული. რესპონდენტების განმარტებით, გამომძიებლების საქმიანობის ხარისხის კონტროლს პროკურორები ადგილზე ახორციელებენ და საჭიროების შემთხვევაში მათ მითითებებს აძლევენ.

რესპონდენტების უმრაველესობამ განაცხადა, რომ ისინი გადამზადების პროცესში მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში ეფექტიანად იყენებენ.

[34] საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/52597, 18.07.19 წერილი.





*„ცოდნას სრულად ვიყენებ პრაქტიკაში, განსაკუთრებით ბოლო პროტოკოლს. როდესაც პროტოკოლის მიხედვით გამოვკითხე არასრულწლოვნები, ძალიან ეფექტიანი იყო. სპეციალიზაციის გავლამდეც მქონია არასრულწლოვნების საქმეზე მუშაობის გამოცდილება, თუმცა, არც ისე დიდი. მას შემდეგ, რაც სპეციალიზაცია გავიარე და სასამართლოში პროტოკოლის გამოყენება დავიწყე, უფრო კარგი შედეგები მაქვს.“*

თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპზე ვიწრო სპეციალიზაცია არ არსებობს და ყველა პროკურორს არასრულწლოვანთა საქმეებთან ერთად სხვა სახის საქმეებიც აქვს. სპეციალიზებულ პროკურორებს განსხვავებული სამუშაო პირობები, მაგალითად, ხელფასი, არ აქვთ. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ არასრულწლოვანთა საქმეებზე მათი მთლიანი საქმეების 15-30% მოდის. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, პრობლემაა ისიც, რომ ბავშვზე ადაპტირებული გარემო ფაქტობრივად, არ არსებობს.

რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ დატვირთულ რეჟიმში უწევთ მუშაობა და სასურველი იქნება, რომ მოხდეს ვიწრო სპეციალიზაცია და პროკურორების გარკვეულმა ჯგუფმა მარტო არასრულწლოვანთა საქმეებზე იმუშაოს. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არ არის ვიწრო სპეციალიზაციის მომხრე და ფიქრობს, რომ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობა მის კარიერულ წინსვლას ხელს შეუშლის .

*„მხოლოდ რუსთავში და აჭარაში გვაქვს სპეციალიზებული, ბავშვზე მორგებული ოთახი, რომელიც პროკურორმა შეიძლება სივრცედ გამოიყენოს. შრომის სხვა განსხვავებული პირობა, მაგ. ხელფასი, არ არსებობს. დასმულა საკითხი, რომ არასრულწლოვანთა საქმეში სპეციალიზებული პირები ხომ არ გავათავისუფლოთ სხვა საქმეებისგან. იმის გამო, რომ რესურსები არ გვყოფნის, ჯერჯერობით, ამის გაკეთება ვერ ხერხდება. თუ დავინახავთ, რომ პროკურორის დატვირთვა ძალიან გაიზარდა და შეიძლება ეს არასრულწლოვნის საქმის ხარისხზე უარყოფითად აისახოს, მაშინ აუცილებლად დავაყენებთ ამ პროკურორის სხვა საქმეებისგან გათავისუფლების საკითხს.”*

პროკურატურის ინიციატივით, უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი ყველა რეგიონში ფუნქციონირებს. სამუშაო ჯგუფებში შედიან სხვადასხვა უწყებების (პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო, სოციალური მომსახურეობის სააგენტო და ა.შ.) რეგიონული წარმომამდგენლები. უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის მთავარი ამოცანაა რეგიონში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება. ჯგუფის წევრები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: საკანონმდებლო რეგულაციებში არსებული ხარვეზები, ბენეფიციარებისთვის საჭირო სერვისების მოძიება; უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესება და ა.შ. ამ შეხვედრებზე სამუშაო ჯგუფის წევრები მართლმსაჯულების საკითხებთან ერთად პრევენციული საქმიანობის გაუმჯობესებაზეც მსჯელობენ.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა გამოწვევებზეც ისაუბრეს. ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, ამ ეტაპზე პროკურატურაში  მოწმე/დაზარალებულის რამდენიმე ისეთი კოორდინატორი ჰყავთ, რომლებსაც სპეციალიზაცია არ აქვთ გავლილი და მათი გადამზადება დროულად უნდა მოხდეს.

## საერთო სასამართლოების სისტემა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად[35], საერთო სასამართლოების სისტემაში (გარდა უზენაესი სასამართლოსი) სულ 261 სპეციალიზებული მოსამართლეა. I ინსტანციის სასამართლოებში - 194 სპეციალიზებული მოსამართლეა, ხოლო II ინსტანციის სასამართლოებში - 67  (თბილისის სააპელაციო სასამართლო - 52 მოსამართლე; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო - 15 მოსამართლე.), აქედან 135 ქალია, ხოლო 126 - კაცი.

იხილეთ ცხრილი რეგიონების მიხედვით (I ინსტანციის სასამართლოების):

| რეგიონი | მოსამართლეების რაოდენობა |
|---|---|
| თბილისი | 89 |
| მცხეთა-მთიანეთი | 6 |
| შიდა ქართლი | 12 |
| სამცხე-ჯავახეთი | 7 |
| იმერეთი | 16 |
| გურია | 4 |
| აჭარა | 12 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 9 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 3 |
| ქვემო ქართლი | 19 |
| კახეთი | 15 |
| აფხაზეთის სასამართლოები | 2 |
| სულ | 194 |

[35] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, N1006/1769-03-ო წერილი.





მოსამართლეების გადამზადებას იუსტიციის უმაღლესი სკოლა უზრუნველყოფს. მოსამართლეების სპეციალიზაცია ხორციელდება წინასწარ შემუშავებული მოდულით, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- **სისხლის სამართლის მიმართულება.** ხანგრძლივობა 3 დღე (21 საკონტაქტო საათი). მოდულის აღწერა: სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ნაწილი (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები; ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე; დაზარალებული და მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებანი).
- **ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება.** ხანგრძლივობა 2 დღე (14 საკონტაქტო საათი). მოდულის აღწერა: სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ნაწილი (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები; ძალადობა ბავშვებზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე; დაზარალებული და მოწმე ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებანი).
- **ბავშვთა უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში.** ხანგრძლივობა 3 დღე (21 საკონტაქტო საათი). მოდულის აღწერა: სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ნაწილი (ბავშვები სამოქალაქო სამართალწარმოებაში; ბავშვის უფლება - იყოს მოსმენილი; ბავშვის საუკეთესო ინტერესი; მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტები; ფსიქოლოგის როლი სამოქალაქო საქმეებში ბავშვის მონაწილეობით; ბავშვზე ძალადობა და ოჯახში ძალადობა, ფორმები, გამოწვევები და შედეგები).

მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, არსებული მოდულის მიხედვით სწავლება ყოველწლიურად მიმდინარეობს. ამჟამად უფრო სიღრმისეული მოდული მუშავდება, სადაც ბავშვზე მორგებულ გარემოსთან, ბავშვის დაკითხვის მეთოდთან და ბავშვთან ურთიერთობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხები იქნება გათვალისწინებული.

სასმართლოებში მოსამართლეთა სპეციალიზაციის შერჩევის კრიტერიუმები დადგენილი არ არის. ჩვენთვის მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ სპეციალიზებულ მოსამართლეებს დამატებითი გადამზადება არ გაუვლიათ.

თვისებრივი კვლევისას რესპონდენტების უმრავლესობამ განაცხადა, რომ არ იციან, რა ნიშნით შეარჩიეს სპეციალიზაციისთვის და შესაბამისად, არასრულწლოვნების საქმეების განსახილველად. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მას სპეციალიზაციის გავლა არ უნდოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოებში მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესარჩევ ეტაპზე თვითონ მოსამართლეთა სურვილს არ ითვალისწინებენ. განსხვავებული მდგომარეობაა იმ სასამართლოებში, სადაც მოსამართლეების რაოდენობა მცირეა (მაგ. რუსთავის საქალაქო სასამართლო) და შესაბამისად, მოსამართლეებს არჩევნის შესაძლებლობა არ აქვთ.

მოსამართლეთა გადამზადების ვადები განსხვავებულია. ასე, მაგალითად, ერთმა რესპონდენტმა 3-დღიანი ტრენინგი გაიარა, მეორემ 7-დღიანი, ხოლო მესამემ - 2-დღიანი. ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ გადამზადება იყო ერთჯერადი, დამატებითი გადამზადება არ გაუვლიათ და სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ინფორმაციას მულტიდისციპლინურ სამუშაო ჯგუფში იღებდნენ.

ტრენინგის შინაარსის თაობაზე ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ იმ დროისთვის ეს გადამზადება საკმარისი იყო, თუმცა, შემდეგ პრაქტიკაში გამოიკვეთა არაერთი პრობლემური საკითხი, რაზეც სამუშაო შეხვედრების დროს მსჯელობდნენ. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა განაცხადა, რომ ტრენინგი კარგი იყო, მაგრამ, მიღებული ინფორმაცია - არასაკმარისი. ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ბავშვთა ფსიქოლოგიის საკითხებზე მეტი ინფორმაციის მიღებას ისურვებდა, მეორე რესპონდენტმა კი განაცხადა, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა სპეციალიზაციის გავლიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დაიწყო.

*„გადამზადება სწორად იყო დაგეგმილი: რადგან მივიღეთ ახალი კოდექსი, ე.ი. ამისი საჭიროება იდგა. თუმცა, ვფიქრობ, რომ გადამზადება არ არის სრული. 3-დღიანი ტრენინგი ჩატარდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე. ამის შემდეგ მე აღარ გამივლია გადამზადება, თუ არ ჩავთვლით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობას. გადამზადება ახლაც აუცილებელია - დაკითხვასთან დაკავშირებით უფრო მეტი ტრენინგის გავლაა საჭირო. გადამზადების პირველი ეტაპი ნამდვილად არ იყო ის საკმარისი.“*





*„გავლილი მაქვს გადამზადების მხოლოდ ერთი კურსი… ეს მოხდა რამდენიმე წლის წინ, ალბათ, 2016-2017 წლებში. იმ ეტაპისთვის შეიძლება ის ცოდნა საკმარისი იყო, რადგან მე სხვა კატეგორიაში ვიყავი და მყოფნიდა, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ უფრო მეტი ტრენინგი ტარდებოდეს… ძალიან მაინტერესებს ბავშვთა ფსიქოლოგია და მინდა ბავშვთა ფსიქოლოგიაზე მეტი ინფორმაცია მქონდეს. ტრენინგი, რომელზეც ვიყავი, 2-დღიანი იყო. პირველ დღეს წინასამართლებრივი საკითხები გავიარეთ. მეორე დღეს ტრენინგი ფსიქოლოგებმა ჩაგვიტარეს.“*

არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, სპეციალიზებული მოსამართლეები ცოდნით და არასრულწლოვანთან ურთიერთობის ფორმით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან: თუ ზოგიერთი მოსამართლე ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებს და პროცესს არაფორმალურ გარემოში წარმართავს, ზოგიერთი მოსამართლე ბავშვის საუკეთესო ინტერესებს საერთოდ არ ითვალისწინებს.

*„მოსამართლეებთან მაქვს გარკვეული შეხება. ვერ ვიტყვი, რომ მათი ცოდნის დონე ძალიან მაღალია, თუმცა, არასრულწლოვნებთან მიმართებაში გარკვეული ცოდნა აქვთ. მოსამართლე დამოუკიდებელი ფიგურაა და სასამართლო პროცესს საკუთარი შეხედულებისამებრ მართავს. მინახავს მოსამართლე, რომელიც დაკითხვის დროს დარბაზში ჩამოსულა, ბავშვის გვერდით დამჯდარა და დაკითხვა ისე ჩაუტარებია. ზოგიერთები ისეთ კითხვებს სვამენ და ისე იქცევიან, რომ შეიძლება გადაირიო.“*

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სასამართლოში შიდა ხარისხის კონტროლის სისტემა არ აქვთ. მეორე რესპონდენტის თქმით კი მის სხდომებს გარკვეული პერიოდულობით ესწრება კონკრეტული პირი, თუმცა, რომელ ორგანიზაციას წარმოადგენს ის, არ იცის. რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ამჟამად სასამართლო სხდომების გარე მონიტორინგს სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს[36]. მათი შეფასებით, მუდმივი მონიტორინგი მოსამართლის საქმიანობის ხარისხს აუმჯობესებს.

*„ჩვენი საქმიანობის ხარისხი აქამდე არ კონტროლდებოდა. მონიტორინგი არ არსებობს. მინდა, რომ მონიტორინგი იყოს. ჩემი მოსაზრება დავაფიქსირე იუსტიციის საბჭოშიც. კარგი იქნება, თუ ამას დავარეგულირებთ. ამ ეტაპზე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სახალხო დამცველის წარმომადგენელი ესწრება პროცესს და ძალადობრივი დანაშაულის საქმეებზე მიმდინარე სასამართლო პროცესს ამონიტორინგებს.“*

[36] აღნიშნული სასამართლოების მონიტორინგი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციის - „ინიციტაივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ და სახალხო დამცველის აპარატის მიერ, ნიდერლანდების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

## სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო. 2020 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილების საფუძველზე ორი უწყება გაერთიანდა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო ჩამოყალიბდა. 2019 წლის ივნისამდე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სააგენტოს თანამშრომელთა სპეციალიზაცია სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ხორციელდებოდა. ამჟამად, ეს ფუნქცია იუსტიციის სასწავლო ცენტრს აკისრია.

ჩვენთვის მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, პირველ ეტაპზე გადამზადებული 82 სოციალური მუშაკიდან, ფსიქოლოგიდან, პროფესიული ზედამხედველიდან და პრობაციის ოფიცრიდან დამატებითი გადამზადება **76-მა (92%)** ადამიანმა გაიარა. გადამზადების მოდული 2-დღიანი იყო და **12 სესიას** (ორი სამუშაო დღის განმავლობაში) მოიცავდა. ტრენინგის თემატიკაა:

- **ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები** - ბაზისური წარმოდგენები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ; სექსუალური ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვის, ასევე არამოძალადე მშობლისა და მოძალადის ქცევა, მათი მოტივები; სექსუალური ძალადობის ამოცნობა და მართებული ინტერვენციის დაგეგმვა; სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან, მოძალადე და არამოძალადე მშობელთან ურთიერთობის თავისებურებები.
- **ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში სარეკომენდაციო ნაწილის მომზადების სპეციფიკა** - რისკების შეფასება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; მოდელი - რისკი-საჭიროება-რელევანტური რეაგირება: შეზღუდვები და მათი დაძლევის მცდელობები; ადგილობრივი გამოცდილება, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები.
- **მოზარდის ფსიქო-სოციალური განვითარება, ქცევითი თავისებურებები და მოზარდის სოციალურ გარემოსთან მუშაობის ასპექტები** - არასრულწლოვანთა ფსიქო-სოციალური განვითარების საჭიროებების გამოვლენა და მიზანმიმართული ინტერვენცია; მოზარდის/ახალგაზრდის გარემოსთან და უშუალოდ მოზარდთან მუშაობის სტრატეგია; შემთხვევის კონცეპტუალიზაცია; დანაშაულის რეციდივის რისკის და დამცავი ფაქტორების ანალიზი; არასრულწლოვანთა/სრულწლოვანთა რთული ქცევის ფუნქციური ანალიზი; მშობელთა ფსიქოგანათლება და მოტივირება; მშობელთა მხარდამჭერი პროგრამების ორგანიზება.





- **საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმოება** - მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები; უზენაესი სასამართლო და მისი სტრუქტურა; სააპელაციო სასამართლო და მისი სტრუქტურა; რაიონული (საქალაქო) სასამართლო; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები; მტკიცებულება; საპროცესო ვადები და ხარჯები; სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებები; საპროცესო შეთანხმება; წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა; სასამართლო განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება.
- **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა. აღნიშნული მოდული მოიცავს შემდეგ საკითხებს:** ადამიანის სექსუალურობა და მისი შემადგენელი კომპონენტები; სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი პირები.
- **ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული დამოკიდებულების სინდრომი და მისი მართვა. აღნიშნული მოდული მოიცავს შემდეგ საკითხებს:** ძირითადი ტერმინები; წამალდამოკიდებულება; ნარკოტიკის განმარტება; ფსიქოაქტიური ნივთიერება; ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები; საქართველოს კანონმდებლობა: ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მსოფლიოში გავრცელება; ევროკავშირის წინასწარი გაფრთხილების სისტემა; ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბაზარი.

ამჟამად სააგენტოში 82 მომსამსახურეს აქვს გავლილი სპეციალიზებული ტრენინგი (02.07.19 წლის მდგომარეობით). აქედან 33 სოციალური მუშაკია, 7 - ფსიქოლოგი, ხოლო 33 - პრობაციის ოფიცერი. აღნიშნული გადამზადება გავლილი აქვს ასევე 3 პროფესიულ ზედამხედველს, ბიუროს 6 უფროსს და მათ მოადგილეებს.

ცხრილი ბიუროებისა და ცენტრალური აპარატის მიხედვით:

| ბიუროს დასახელება | თანამდებობა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ბიუროს უფროსი | ბიუროს უფროსის მოადგილე | პრობაციის ოფიცერი | სოციალური მუშაკი | ფსიქოლოგი | პროფესიული ზედამხედველი |
| ცენტრალური აპარატი | | | | | | 3 |
| თბილისი | 1 | | 4 | 10 | | |
| შიდა ქართლი | 1 | | 2 | 3 | 1 | |
| მცხეთა-მთიანეთი | | | 6 | 2 | 1 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმერეთი | 1 | | 3 | 3 | | |
| კახეთი | | | 6 | 1 | 1 | |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | | | 6 | 1 | 1 | |
| ქვემო ქართლი | 1 | | 5 | 3 | | |
| აჭარა | | | 3 | 3 | 1 | |
| რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი | 1 | | | 1 | 1 | |
| სამცხე-ჯავახეთი | 1 | | 2 | 3 | | |
| გურია | | | 1 | 2 | | |

გადამზადებულ/სპეციალიზებულ თანამშრომელთა შორის 55 ქალი და 27 კაცია. იხ. ცხრილი სამმართველოების მიხედვით:

| **სამმართველო/ბიურო** | **ქალი** | **კაცი** |
|---|---|---|
| სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო | 3 | 0 |
| თბილისის პრობაციის ბიურო | 13 | 2 |
| შიდა ქართლის პრობაციის ბიურო | 4 | 3 |
| მცხეთა-მთიანეთის პრობაციის ბიურო | 3 | 1 |
| იმერეთის პრობაციის ბიურო | 5 | 4 |
| კახეთის პრობაციის ბიურო | 4 | 3 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიურო | 3 | 5 |
| ქვემო ქართლის პრობაციის ბიურო | 6 | 3 |
| აჭარის პრობაციის ბიურო | 5 | 2 |
| რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პრობაციის ბიურო | 2 | 1 |
| სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიურო | 3 | 3 |
| გურიის პრობაციის ბიურო | 4 | 0 |
| სულ რაოდენობა | 55 | 27 |

ჩვენთვის გამოგზავნილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, ერთი თვის განმავლობაში ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების საშუალო დატვირთვა (02.07.2019 მდგომარეობით) ყველაზე მაღალი თბილისსა და ბათუმშია:

- ✓ **თბილისი**: ფსიქოლოგი - 94 საქმე; სოციალური მუშაკი - 39 საქმე;
- ✓ **ქვემო ქართლი:** რუსთავი: სოციალური მუშაკი - 56 საქმე;
- ✓ მარნეული: სოციალური მუშაკი - 42 საქმე;
- ✓ გარდაბანი: სოციალური მუშაკი - 81 საქმე;
- ✓ **შიდა ქართლი:** გორი: ფსიქოლოგი - 62 საქმე (გორში დასაქმებული ფსიქოლოგი ემსახურება ასევე თბილისის ბიუროსაც), სოციალური მუშაკი - 13 საქმე;
- ✓ ხაშური: სოციალური მუშაკი - 5 საქმე (ხაშურში დასაქმებული სოციალური მუშაკი ემსახურება თბილისის ბიუროსაც);
- ✓ **სამცხე-ჯავახეთი:** ასპინძა, ნინოწმინდა, ახალქალაქი: სოციალური მუშაკი - 39 საქმე;
- ✓ ახალციხე: სოციალური მუშაკი - 36 საქმე;
- ✓ ბორჯომი: სოციალური მუშაკი - 52 საქმე.
- ✓ **იმერეთი:** ქუთაისი-სამტრედია: ფსიქოლოგი -104 საქმე;
- ✓ ქუთაისი: სოციალური მუშაკი - 68 საქმე;
- ✓ ზესტაფონი: ფსიქოლოგი - 10 საქმე (ზესტაფონში მომუშავე ფსიქოლოგი ემსახურება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთსაც), სოციალური მუშაკი - 28 საქმე;
- ✓ **აჭარა:** ბათუმი: ფსიქოლოგი - 73 საქმე; სოციალური მუშაკი - 32 საქმე;
- ✓ **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი:** ამბროლაური - 10 საქმე; სოციალური მუშაკი - 8 საქმე;
- ✓ **სამეგრელო-ზემო სვანეთი:** ზუგდიდი, სენაკი, ფოთი: ფსიქოლოგი - 54 საქმე; სოციალური მუშაკი - 64 საქმე;
- ✓ **გურია:** ოზურგეთი, ლანჩხუთი: ფსიქოლოგი - 62 საქმე; სოციალური მუშაკი - 57 საქმე;
- ✓ **კახეთი:** თელავი, გურჯაანი: ფსიქოლოგი - 47 საქმე (თელავსა და გურჯაანში მომუშავე ფსიქოლოგი ემსახურება თბილისის ბიუროსაც); სოციალური მუშაკი - 41 საქმე;

- ✓ **მცხეთა-მთიანეთი:** მცხეთა: ფსიქოლოგი - 30 საქმე (მცხეთაში მომუშავე ფსიქოლოგი ემსახურება თბილისის ბიუროსაც); სოციალური მუშაკი - 25 საქმე.

თვისებრივი კვლევისას რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ სპეციალიზაციისას უპირატესობა ენიჭებათ იმ სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ არასრულწლოვნებთან და ე.წ ქეის მენეჯერები - საქმის მმართველები არიან. ყველა სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი გადამზადებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით გადის. სპეციალისტების გადამზადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ხდებოდა. ამჟამად ამ ფუნქციას იუსტიციის სასწავლო ცენტრი ითავსებს.

*„პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სპეციალიზაციის დროს უპირატესობა ენიჭებათ იმ სპეციალისტებს, რომლებსაც შეხება აქვთ არასრულწლოვნებთან და ქეის-მენეჯმენტს ახორციელებენ. ესენი არიან სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და ის ოფიცრები რომლებიც განრიდებაზე მუშაობენ და პრობაციონერ არასრულწლოვნებთან აქვთ ურთიერთობა. პირველ ეტაპზე სწორედ ამ სპეციალისტების გადამზადება მოხდა.“*

რესპონდენტების განმარტებით ტრენინგის ხანგრძლივობა იყო 3-4 დღე, რაც ჩვენთვის გამოგზავნილი საჯარო ინფორმაციითაც დასტურდება. სააგენტოს თანამშრომლებმა გადამზადება პირველ ეტაპზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძალაში შესვლამდე (2015 წელს) გაიარეს. საგენტოში პერიოდულად ახალი მიღებული თანამშრომლების გადამზადება მიმდინარეობს. რესპონდენტთა განცხადებით, სააგენტოში არის განგრძობითი სწავლის შესაძლებლობა. თუმცა, ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ 2015 წელს შექმნილი საბაზისო მოდული უკვე გადახედვას მოითხოვს.

*„მოდულს ვიცნობ. ახლა თემებს ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ვფიქრობ, რომ თავიდან ( ეს მოდული შეიქმნა 2014-2015 წელს) ნამდვილად არ იყო მართლმსაჯულების სისტემაში ის ბაზა, რაც დამწყებ სპეციალისტს სჭირდება. შემდეგ შეიქმნა სახელმძღვანელოები და მოდულები. თუმცა, ვფიქრობ, რომ სპეციალიზაციის ის მოდული, რაც დღეს გვაქვს, საჭიროებს გადახედვას.“*

*„პირველად რომ გავიარე ტრენინგი, მაშინ ამდენი ინფორმაცია არ მქონდა. ახლა ყოველ წელს ტარდება ტრენინგი და შესაძლოა, იმ მოდულსაც ბევრი ინფორმაცია დაემატა. თავიდან, როცა მუშაობა დავიწყე, ზოგიერთ შემთხვევაში ვერც ვხვდებოდი, რომ ბავშვის უფლება ირღვეოდა. დროთა განმავლობაში, პრაქტიკაში ბევრი რამ ვისწავლე.“*

პრობაციის ეროვნული სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სპეციალისტებმა არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საკითხებში გადამზადება გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით გაიარეს. ჩატარებული ტრენინგი ეხებოდა ისეთ თემებს, როგორიცაა: მოზარდის ფსიქო-სოციალური განვითარება და ქცევითი თავისებურებები, მოზარდის სოციალურ





გარემოსთან მუშაობის ასპექტები, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმოება; სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული დამოკიდებულების სინდრომი და მისი მართვა, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში სარეკომენდაციო ნაწილის მომზადების სპეციფიკა.

თვისებრივი კვლევისას რესპონდენტებმა განმარტეს, რომ სააგენტოში დანერგილია ორი სახის გადამზადება: საბაზისო, რომელიც ძირითადად მთავრობის N 668 დადგენილებით განსაზღვრულ საკითხებს მოიცავს და 2. დამატებითი გადამზადება სხვადასხვა საკითხებზე, რაც მოწოდებული საჯარო ინფორმაციითაც დასტურდება.

*„მინდა დავაზუსტო, რომ მეორე, განგრძობითი ტრენინგი, რომელიც ჩვენს სპეციალისტებს ჩავუტარეთ, იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ მომზადებულ, ამჟამად მოქმედ მოდულში შეტანილი არ არის. 2016-2017 წლებში UNICEF-ის დახმარებით სპეციალიზაციაგავლილი სპეციალისტები უფრო სიღრმისეულად გადავამზადეთ. ამას მეორეული სპეციალიზაცია ერქვა. პირველ რიგში გავარკვიეთ, რა საჭიროებები ჰქონდათ სპეციალისტებს ბავშვებთან ურთიერთობის დროს. მოდული ამ საჭიროებების საფუძველზე მოვამზადეთ და სპეციალისტები ახალი მოდულით გადავამზადეთ.“*

სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების საქმიანობის ხარისხის მონიტორინგს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს პროფესიული ზედამხედველები ახორციელებენ. პროფესიულ ზედამხედველებს აქვთ მაგისტრის ხარისხი ფსიქოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებით და კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მუშაობის გამოცდილება. პროფესიული ზედამხედველობა ხორციელდება როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სახით, პირისპირ და დისტანციურად.

ზედამხედველობის შედეგები პროფესიული ზედამხედველისა და სპეციალისტის მიერ შესაბამის ფორმაში, წერილობითი სახით აისახება. ზედამხედველობის ღონისძიებები ხორციელდება ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და მხარდამჭერი მიმართულების ფარგლებში. ადმინისტრაციული ზედამხედველობა უზრუნველყოფს სააგენტოს პოლიტიკის და ორგანიზაციული მოთხოვნების დაცულობას და ფოკუსირებულია ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის სამუშაო ფუნქციონირებაზე, დატვირთულობასა და მის მიერ სამსახურებრივი დავალების შესრულების ხარისხზე.

საგანმანათლებლო ზედამხედველობა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებასა და პროფესიული გადამზადების საჭიროებებზე. ის მოიცავს ღონიძიებებს, რომლის საშუალებით ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი სწავლობს შეფასებას, ინტერვენციის განხორციელებას,

ეთიკური საკითხების იდენტიფიცირებას, გადაწყვეტილების მიღებას, მომსახურების შეფასებასა და შეწყვეტას.

მხარდამჭერი ზედამხედველობა მიმართულია სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესის შემცირებასა და პროფესიული გადაწვის პრევენციაზე, რაც გავლენას ახდენს პრაქტიკოსის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხზე.

თვისებრივი კვლევისას რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ჰყავთ პროფესიული სუპერვაიზორები, რომლებიც მათ საქმიანობას პრაქტიკაში აკვირდებიან და დაკვირვების საფუძველზე, თანამშრომელთა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა სახის სასწავლო აქტივობებს გეგმავენ.

> *„ჩვენ გვყავს სუპერვაიზორები, პროფესიული ზედამხედველები და გვაქვს საქმიანობის ხარისხის კონტროლის პროცედურა. სპეციალისტების საქმიანობის ხარისხს პროფესიული სუპერვაიზორი ამონიტორინგებს. ის ადგენს, რა სჭირდებათ სპეციალისტებს, სად არის მათი სუსტი წერტილები და რაში სჭირდებათ გაძლიერება.“*

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით ვიწრო სპეციალიზაცია ჩამოყალიბებული არ არის. როგორც პრობაციის ოფიცრები, ისე სოციალური მუშაკები/ფსიქოლოგები არასრულწლოვნებთან ერთად ზრდასრულ პირებთანაც მუშაობენ. თუმცა, არასრულწლოვანთა საქმეების საქმის მმართველები მხოლოდ სოციალური მუშაკები არიან. რესპონდენტთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ვიწრო სპეციალიზაცია აუცილებლად უნდა არსებობდეს, განსაკუთრებით სოციალურ მუშაკებთან მიმართებაში და სპეციალისტების გარკვეულ ჯგუფს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ ამხოლოდ არასრულწლოვნებზე იყვნენ ფოკუსირებულნი.

> *„სამწუხაროდ, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები მუშაობენ როგორც ზრდასრულ ადამიანებთან, ისე არასრულწლოვნებთან. ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი გამოწვევა ესეც არის ჩვენთვის და ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე ამ მდგომარეობის შეცვლას ვერ ვახერხებთ … ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალისტი სრულწლოვნებთან არ უნდა მუშაობდეს.“*

რესპონდენტთა აზრით, მთავარი გამოწვევა სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების საკადრო დეფიციტია, რის გამოც დატვირთვული გრაფიკით მუშაობენ.

> *„თანამშრომლებისთვის პირველ რიგში სასურველია სპეციალისტების დამატება. აუცილებელია როგორც სოციალური მუშაკების, ისე ფსიქოლოგების დამატება. გარდა ამისა, უნდა იყოს წახალისების მექანიზმიც.“*





სამუშაო პირობების თაობაზე ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ სოციალური სამუშაოს სფეროში პრობაციის ეროვნული სააგენტო ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სამუშაოდ ითვლება, თუმცა, ისურვებდა, რომ მათი პროფესია უფრო დაფასებული იყოს და ანაზღაურებაც უკეთესი ჰქონდეთ.

> *„პრობაციაში სოციალურ მუშაკად რომ დაიწყო მუშაობა, ამაზე ბევრი ადამიანი ოცნებობს და ეს სხვა სამსახურებში დასაქმებული კოლეგებისგან ხშირად მსმენია. ვფიქრობ, რომ მე ძალიან გამიმართლა.“*

## სპეციალური პენიტენციური სამსახური

არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა, სასჯელს იხდის არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო ან N5 ქალთა (გოგონები) დაწესებულებაში.[37] არასრულწლოვანი ბრალდებულების განთავსება ხორციელდება N2, N8 და N5 (არასრულწლოვან გოგონებთან მიმართებაში) დაწესებულებებში.

ქალთა დაწესებულებაში 2019 წლის ბოლოს არ იმყოფებოდა არასრულწლოვანი გოგონა ბრალდებული/მსჯავრდებული.

როგორც კვლევის შეზღუდვის ნაწილში აღვნიშნეთ, პენიტენციური სისტემის თანამშრომლებმა არ მიიღეს მონაწილეობა თვისებრივი კვლევის ჩატარების პროცესში და მხოლოდ საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდეს.[38]

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულია 5 სოციალური მუშაკი და 5 ფსიქოლოგი. ყველა მათგანი სპეციალიზებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. N2 და N8 დაწესებულებებს ამჟამად არ ჰყავთ არასრულწლოვნებთან მომუშავე სოციალური მუშაკები.

[37] *საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მ.79.*

[38] იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 06.12.19, N365709/01 წერილი.

დაწესებულებების მიხედვით სოციალური მუშაკების/ფსიქოლოგების რაოდენობა:

| დაწესებულება | სოციალური მუშაკი | ფსიქოლოგი |
|---|---|---|
| N2 | 0 | 1 |
| N5 | 1 | 1 |
| N8 | 0 | 1 |
| N11 | 4 | 3 |

პენიტენციური და პრობაციის სისტემის მომსახურების ცენტრმა პენიტენციური სისტემის მოსამსახურეთა სპეციალიზაცია 2015 წლიდან დაიწყო. 2015-2018 წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზაცია გაიარა 152-მა მოსამსახურემ, აქედან 91 კაცია, ხოლო 61 - ქალი. იხილეთ დეტალურად:

| წელი | მოსამსახურეთა რაოდენობა | კაცი | ქალი |
|---|---|---|---|
| 2015 | 104 | 60 | 44 |
| 2016 | 12 | 11 | 1 |
| 2017 | 18 | 11 | 7 |
| 2018 | 18 | 9 | 9 |

პენიტენციური სისტემის მოსამსახურეებმა სპეციალიზაცია გაიარეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალურად შემუშავებული მოდულის - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთა ურთიერთობის მეთოდიკა" - ფარგლებში. აღნიშნული მოდული შემუშავდა გაერო-ს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით და მოიცავს 18 აკადემიურ საათს.





იხილეთ მოდული დეტალურად:

| მოდული | საკითხები | ხანგრძლივობა/<br>აკადემიური საათი |
|---|---|---|
| არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები | ბავშვთა უფლებათა კონვენცია;<br>პეკინის წესები;<br>გაერო-ს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10. | 2 |
| არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი | არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და მისი მოქმედების სფერო;<br>არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები. | 4 |
| არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი | არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები; აღმკვეთი ღონისძიებები; არასრულწლოვნის სასჯელის მიზანი და სახეები; არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ყოფნის პირობები. | 2 |
| არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი | არასრულწლოვნის გათავისუფლებისათვის მზადება; არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება; პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვნებზე ზრუნვა და მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია. | 2 |
| არასრულწლოვანთა გამოკითხვა-დაკითხვა | არასრულწლოვნების გამოკითხვის (დაკითხვის) სპეციფიური ასპექტები; NICHD პროტოკოლი. | 2 |

| | | |
|---|---|---|
| ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები | ბავშვის და მოზარდის განვითარების თავისებურებები, ეტაპები, ასაკობრივი თავისებურებები და მათი გავლენა არასრულწლოვნის ქცევაზე. | 2 |
| ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები | ტრავმული გამოცდილება და მისი გავლენა ანტისოციალური და კრიმინალური ქცევის ჩამოყალიბებაზე. პატიმრობა, როგორც ხანგრძლივი ექსტრემალური სტრესი და მისით გამოწვეული ფსიქოლოგიური ზიანი. | 2 |
| ძალადობა ბავშვზე და გავლენა ბავშვის განვითარებაზე | ძალადობის ძირითადი ფორმები, ძალადობაგანცდილი ბავშვების ფიზიკური და ქცევითი მახასიათებლები, ძალადობის გავლენა არასრულწლოვნებზე. | 2 |

**სოციალური მუშაკების/ფსიქოლოგების დატვირთვა**

N11 დაწესებულებაში სოციალური მუშაკები/ფსიქოლოგები თვეში საშუალოდ აწარმოებენ 15-16 საქმეს, ზუსტად ამდენივე საქმე აქვთ N8 დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის თანამშრომლებს (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები).

ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას, რომ გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ პენიტენციურ სისტემაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზაციის პროცესზე. არსებობს ინფორმაცია სპეციალიზებული თანამშრომლების რაოდენობის, მათი დატვირთვის და ტრენინგ-მოდულის შესახებ, რომლის მიხედვითაც მათი გადამზადება მოხდა. თუმცა, იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა თვისებრივი კვლევის ჩატარება და პენიტენციური სისტემის მოსამსახურეებისგან ინტერვიუს აღება, პენიტენციურ სამსახურში არსებული პრაქტიკის სრულყოფილად შეფასება შეუძლებელია.





## სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

დანაშაულის პრევენციის ცენტრი წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ-ს (აღნიშნული უწყების ამჟამინდელ სტატუსთან დაკავშირებით იხილეთ ინფორმაცია პრობაციის ეროვნული სააგენტოს თავში). დანაშაულის პრევენციის ცენტრში ძირითადად შეფასდა მედიატორების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზაციის ხარისხი.

2019 წლის 13 ივნისის მდგომარეობით დანაშაულის პრევენციის ცენტრში დასაქმებული იყო 16 მედიატორი, 13 სოციალური მუშაკი[39] და 1 ფსიქოლოგი. ყველა მათგანს გავლილი ჰქონდა სპეციალიზაციის კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით და ჰქონდა არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობის უფლება.[40]

დანაშაულის პრევენციის ცენტრში დასაქმებულ მედიატორებს გავლილი აქვთ სპეციალური სისხლის სამართლის მედიაციის სასწავლო კურსი, რომლის ხანგრძლივობაც, ჯამში, 20 დღეა (139 საათი). აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის მოდულიც, რომლის ხანგრძლივობაც არის 5 დღე (34 საათი). არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კურსი მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- ფსიქოლოგიური ნაწილი (3 დღე, 20 საათი);
- ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები (2 დღე, 14 საათი);
- ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე (1 დღე, 3 საათი);
- სამართლებრივი ნაწილი (2 დღე, 14 საათი) - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები.

ამჟამად ცენტრის განრიდებისა და მედიაციის სამმართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით გადამზადებულია სპეციალიზებული ორი ტრენერი.16 მედიატორიდან 15 ქალია, ხოლო 1 - მამაკაცი.

---

[39] 2019 წლის ოქტომბერში, როდესაც ტარდებოდა თვისებრივი კვლევა, მნიშვნელოვნად იყო შემცირებული სოციალური მუშაკების რაოდენობა ცენტრში, უწყებაში მიმდინარე რეორგანიზაციის გამო. 2020 წლიდან პრობაციის ეროვნული სააგენტოს შეუერთდა დანაშაულის პრევენციის ცენტრი და ჩამოყალიბდა სტრუქტურული ერთეული - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

[40] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის N346, 27/06/2019 წერილი.

იხ. ცხრილი რეგიონების მიხედვით:

| რეგიონი | ქალი | კაცი | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 5 | 1 | 6 |
| ახალციხე (სამცხე-ჯავახეთი) | 1 | 0 | 1 |
| ბათუმი (აჭარა/გურია) | 1 | 0 | 1 |
| გორი (შიდა ქართლი) | 1 | 0 | 1 |
| გურჯაანი (კახეთი) | 0 | 1 | 1 |
| თელავი (კახეთი) | 1 | 0 | 1 |
| ზუგდიდი (სამეგრელო-ზემო სვანეთი) | 2 | 0 | 2 |
| რუსთავი (ქვემო ქართლი) | 1 | 0 | 1 |
| ქუთაისი (იმერეთი) | 2 | 0 | 2 |
| სულ | 15 | 1 | 16 |

ყოფილი პატიმარი არასრულწლოვნების მიმართულებით მომუშავე სოციალური მუშაკებიდან ყველა ქალია, 1 ფსიქოლოგი არის კაცი .

იხ. ცხრილი რეგიონების მიხედვით:

| რეგიონი | ქალი | კაცი | სულ |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 1 (ფსიქოლოგი) | 7 |
| ახალციხე (სამცხე-ჯავახეთი) | 1 | 0 | 1 |
| ბათუმი (აჭარა/გურია) | 1 | 1 | 2 |
| გორი (შიდა ქართლი) | 1 | 0 | 1 |
| ზუგდიდი (სამეგრელო-ზემო სვანეთი) | 2 | 0 | 2 |
| ქუთაისი (იმერეთი) | 2 | 0 | 2 |
| სულ | 13 | 1 | 14 |





თვისებრივი კვლევის დროს რესპონდენტებმა განმარტეს, რომ ტრენინგ-მოდული, რომლის მიხედვითაც მედიატორები გადიან გადამზადებას, 20-დღიანია. აქედან 5-დღიანი სასწავლო კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს ეთმობა. ტრენინგი რამდენიმე ეტაპიანია და ყველა ეტაპის დასრულების შემდეგ ტარდება ტესტირება.

სოციალური მუშაკები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე 5-დღიან გადამზადებას გადიან. კურსი მოიცავს ყველა იმ თემას, რაც მთავრობის N668 დადგენილებითაა განსაზღვრული.[41]

*„სოციალური მუშაკები 3-საფეხურიან სასწავლო კურსს გადიან. თითოეული სასწავლო კურსის შემდეგ ტესტირება ტარდება. პირველი ეტაპი მოიცავს მედიაციის შესავალს, რომელშიც საუბარია კონფლიქტოლოგიასა და კონფლიქტების მართვის საკითხებზე: რა არის კონფლიქტი, რა არის მედიაცია, რა არის მოლაპარაკება, ეფექტიანი კომუნიკაცია და ა.შ. შემდეგ ტესტირება ტარდება, სადაც 75%-იანი ზღვრის გადალახვაა საჭირო.*

*ამის შემდეგ გადიან უკვე სწავლების მეორე საფეხურს, რომელიც 70 თუ 75 საღექციო საათს მოიცავს. ამ კურსში შედის აღდგენით მართლმსაჯულებასთან, სს მედიაციასთან, არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიასთან და ინტერაქციასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე სს კონკრეტული მუხლები და კონკრეტული ინსტიტუტები, ზიანის ანაზღაურების საკითხები. შემდეგ ატესტაცია ტარდება. აქაც 75%-იანი ზღვარი უნდა გადალახოს.*

*მესამე კომპონენტი სპეციალიზაციაა, რომელიც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საკითხებს ეთმობა. გადამზადების პროცესი 3 თუ 5-დღიანია. გადამზადების დროს გადიან არამარტო იმ საკითხებს, რაც მთავრობის დადგენილებაშია გაწერილი, არამედ მედიაციის სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსაც. აქაც ატესტაცია ტარდება, ისევ 75%-იანი ზღვრით“.*

[41] დანაშაულის პრევენციის ცენტრის N346, 27.06.19 წერილი.

სპეციალიზაციისთვის თანამშრომლების შერჩევისას ყურადღებას აქცევენ კანდიდატის სამუშაო გამოცდილებას და უნარ-ჩვევებს. დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2017 წლის 12/ს ბრძანებით, მედიატორებისთვის განსაზღვრულია კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასეთივე მოთხოვნები განსაზღვრულია იმ სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მუშაობენ. საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: შესაბამისი განათლება; რელევანტური ნორმატიული მასალის ცოდნა; გარკვეული სახის უნარ-ჩვევები (უცხო ენის ცოდნა; კომპიტერული პროგრამების ცოდნა; წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი და ა.შ.) და სამუშაო გამოცდილება. შერჩევა ხდება კონკურსის წესით.[42]

თვისებრივი კვლევისას ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მედიატორების შერჩევის პროცესი საკმაოდ რთულია: კანდიდატმა ჯერ კონკურსში უნდა მიიღოს მონაწილეობა და შემდეგ ტრენინგი გაიაროს. ამის შემდეგ მას გამოსაცდელ ვადას აძლევენ. თუ გამოსაცდელ ვადას წარმატებით გაივლის, ცენტრი მასთან ხელშეკრულებას აფორმებს.

> *„მედიატორის შერჩევის პროცესი საკმაოდ რთულია. არ არის მარტივი, რომ მედიატორი გახდე. იწყება კონკურსით. კონკურსით ხდება კონკრეტული პირების შერჩევა. შემდეგ 3-საფეხურიან სასწავლო კურსს გადიან. თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ გადიან ტესტირებას. არის კიდევ სპეციალური "გამოსაცდელი პერიოდი", რომლის ფარგლებშიც მენტორ მედიატორთან ერთად მუშაობს. მინიმუმ სამი საქმის გაკეთება ევალება ანაზღაურების გარეშე. შეიძლება ეს სამი საქმე საჭიროების მიხედვით 7-8 საქმემდე ავიდეს. გვქონია ასეთი შემთხვევაც და გვქონია შემთხვევაც, როდესაც მესამე საქმე დასრულების შემდეგ მედიატორს პირდაპირ დამოუკიდებლად მუშაობის უფლება მიუღია. ამ ეტაპების წარმატებით გადალახვის შემთხვევაში მასთან ხელშეკრულება ფორმდება და ის მუშაობას დამოუკიდებლად აგრძელებს.“*

მედიატორთა დატვირთვის ხარისხი დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე, მათ შორის: კონკრეტული დროის მონაკვეთში პროკურორების მიერ განრიდების შესახებ გამოტანილი წინასწარი გადაწყვეტილებების რაოდენობაზე, მიმდინარე საქმეთა სირთულეზე, ხანგრძლივობასა და სხვა გარემოებებზე. „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის“ პროგრამის სოციალური სამუშაოს მთავარი სპეციალისტები თვის განმავლობაში საშუალოდ 45-50 შემთხვევაზე მუშაობენ.[43]

მედიატორებს არ აქვთ განგრძობადი სწავლის შესაძლებლობა. გამონაკლისია სს მედიაციის სასწავლო კურსი. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველოს სპეციალიზებულ თანამშრომელთა გადამზადების კუთხით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

[42] იქვე.

[43] იქვე.





ევროკავშირის, აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) და სხვა დონორების მიერ განხორციელებულ პროექტებს.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გადამზადების კურსი ერთჯერადად გაიარა და განგრძობითი სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა.

> *„გადამზადება ერთჯერადი იყო. თქვენ თუ გულისხმობთ განგრძობადი სპეციალიზაციის საკითხებს, შეძლება ითქვას, რომ სპეციალიზაციის მიმართულებით მუშაობა გასაუმჯობესებელია. უმჯობესი იქნება, რომ სპეციალიზაციის გავლა ერთჯერადად არ ხდებოდეს და თანამშრომლების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე მუშაობა მუდმივად მიმდინარეობდეს.“*

რესპონდენტების უმრავლესობამ თვისებრივი კვლევისას განაცხადა, რომ სწავლების განგრძობადი პროცესი მათი უწყების მთავარი მიღწევაა და წლის განმავლობაში მედიატორებს ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები 2-3-ტრენინგს უტარებენ.

> *"განგრძობადი სწავლება დანაშაულის პრევენციის ცენტრის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. ცენტრში სწავლების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. მედიატორები წლის განმავლობაში 2-ჯერ ან 3-ჯერ მაინც გადიან ტრენინგებს. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგებს ატარებენ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ექსპერტები. ძირითადად ეს ხდება მედიატორების მოთხოვნების გათვალისწინებით. ტარდება მოკვლევა, თანამშრომლებს რა სჭირდებათ, რა უნდათ და რა კონკრეტული საჭიროებები აქვთ."*

მედიატორთა საქმიანობას ცენტრის განრიდებისა და მედიაციის სამმართველოს უფროსი და განრიდების/მედიაციის პროგრამის მენეჯერი ზედამხედველობს.

ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის N384/ს ბრძანების შესაბამისად, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯერი ან/და მის მიერ უფლებამოსილი სხვა თანამშრომელი ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით პერიოდულად ესწრება მოსამზადებელ წინასაკონფერენციო ეტაპს ან/და მედიაციის კონფერენციას.

„ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის და მისი განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 24 ოქტომბრის N321/ს ბრძანების შესაბამისად, სოციალური მუშაკების ხარისხის

ზედამხედველობას ახორციელებს სოციალური სამუშაოს პროფესიული ზედამხედველი, სამმართველოს ყველა თანამშრომელი კი სამმართველოს უფროსს ექვემდებარება.[44]

თვისებრივი კვლევისას, რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ თანამშრომელთა საქმიანობის ხარისხს პროფესიული ზედამხედველი ამოწმებს. მედიატორების სუპერვიზია[45] ხორციელდება როგორც სუპერვიზიის, ისე ინტერვიზიის[46] მეთოდით.

> *„პროფესიული ზედამხედველის თანამდებობა არსებობდა. ის თანამშრომლებს სხვადასხვა სირთულის პრობლემების მოგვარებაში ეხმარებოდა. მედიატორებთან მიმართებაში სუპერვიზიის მექანიზმი დანერგილია როგორც ინტერვიზიის, ისე სუპერვიზიის სახით. ზოგჯერ თვითონაც ატარებენ ინტერვიზიის სესიებს - იკრიბებიან და ჯგუფში კონკრეტულ ქეისებს განიხილავენ, დამატებითი მენეჯერული რგოლის და სხვა პირის გარეშე."*

## ადვოკატთა სპეციალიზაცია

### საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

კვლევის პროცესში, ადვოკატთა ასოციაციაში 4687[47] ადვოკატი იყო რეგისტრირებული. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისთვის აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება და გაწევრიანების შემდეგ შესაბამისი საწევრო გადასახადის გადახდა.

ასოციაციაში სპეციალიზაცია ძირითადად საერთო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მიმართულებით ხორციელდება. აღნიშნული 3 მიმართულების გარდა ადვოკატებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ დამატებითი სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. 4687 ადვოკატიდან 2259 ადვოკატს აქვს საერთო სპეციალიზაცია, აქედან 620 ადვოკატს დამატებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით; 990 ადვოკატს - სისხლის სამართლის მიმართულებით, მათ შორის 313 ადვოკატს დამატებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

[44] იქვე.

[45] სუპერვიზია წარმოადგენს გამოცდილი კოლეგის მიერ მეორე კოლეგის ან კოლეგათა ჯგუფის პროფესიულ კონსულტირებასა და ანალიზს, როგორც მათ მიერ გამოყენებული პრაქტიკული მიდგომისა და მეთოდების, ასევე სამიზნე ჯგუფთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესი პროფესიონალთა თეორიული და პრაქტიკული კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება.

[46] ინტერვიზია კოლეგებს შორის პროფესიული კონსულტირების (ერთიერთკონსულტირების) მეთოდია, სამუშაოსთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე რჩევების გაცვლა-გაზიარების გზით.

[47] 21.10.2019 მდგომარეობით.





მიმართულებით[48]; 1459 ადვოკატს - სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. სულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით 940 ადვოკატია სპეციალიზებული.

**ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებულია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და შედეგების გასაჩივრების წესები[49].**

აღნიშნული წესის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები ტარდება სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის განხრით. ეს წესი არ ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზაციის პროცედურებს. თუმცა, თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულია შესაბამისი პროცედურები, რომლის მიხედვითაც ყველა ადვოკატი ვალდებულია, რომ ტრენინგი გაიაროს - წინააღმდეგ შემთხვევაში ის საბოლოო ტესტირებაზე არ დაიშვება.

ადვოკატთა ასოციაციისთვის ტრენინგ-მოდული მომზადდა UNICEF-ის მხარდაჭერით, რაც თვისებრივი კვლევის პროცესშიც დადასტურდა. აღნიშნული მოდული მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- რიადის სახელმძღვანელო პრინციპები;
- პეკინური წესები;
- გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10;
- ბავშვები მართლმსაჯულების სისტემაში;
- მოზარდი მართლმსაჯულების სისტემაში;
- NICHD პროტოკოლი და ოქმი.[50]

სპეციალიზიაციის მიზნით ტესტირება ადვოკატთა ასოციაციის ყველა ადვოკატმა უნდა გაიაროს. ტესტირება მოიცავს 20 ტესტს და არის 3-ნაწილიანი: 10 კითხვა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან, 5 - საერთაშორისო სამართლიდან და 5 - ფსიქოლოგიიდან.[51] ტესტირებას წინ უსწრებს 3-დღიანი ტრენინგი, რომელიც 3-კომპონენტიანია და მოიცავს ზუსტად იმ საკითხებს, რაც ტესტირებაში შედის. ტრენინგი უფასოა და მასზე დასწრება სავალდებულოა.

[48] https://www.gba.ge/ka, ნანახია

[49] იქვე, 10.01.2020.

[50] ადვოკატთა ასოციაციის წერილი N10066, 01.10.19

[51] იქვე.

სპეციალიზაციის გავლის სურვილის შემთხვევაში, შესაბამისმა კანიდადატმა ასოციაციას უნდა მიმართოს, წარადგინოს სამოტივაციო წერილი და შესაბამისი კაზუსი შეავსოს. ამის შემდეგ მონაწილეები 3-დღიან ტრენინგს და ტესტირებას გადიან. ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ადვოკატი არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობის უფლებას იღებს.

ყველა ადვოკატი, ვინც გადაწყვეტს, რომ არასრულწლოვნების მართლმსაჯულების მიმართულებით ჰქონდეს სპეციალიზაცია, მანამდე უნდა იყოს სპეციალიზებული სისხლის სამართლის ან საერთო მიმართულებით.

თვისებრივი კვლევისას ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ტრენინგის გავლა სავალდებულოა ყველასთვის, ვისაც ტესტირებაზე გასვლა სურს, თუმცა, იქვე ისიც აღნიშნა, რომ თუ ადვოკატი ტრენინგს გააცდენს, ამას სასწავლო ცენტრი ყურადღებას არ აქცევს:

> *„ასოციაცია აცხადებს რეგისტრაციას, რომ დავადგინოთ, რამდენ ადამიანს უნდა ტესტირების გავლა და განვსაზღვროთ, რამდენი ტრენინგი გვექნება ჩასატარებელი. მომართვის შემდეგ გვიგზავნიან სამოტივაციო წერილს და კაზუსს ავსებენ. კაზუსს ექსპერტი განიხილავს. ცენტრი აფასებს მათ მოტივაციას და ამის შემდეგ უკვე ვუკავშირდებით.“*

> *„ვატარებთ სამდღიან ტრენინგს. ამჟამად 6 ჯგუფთან ტარდება 3-დღიანი ტრენინგი. ტრენინგი არის 3-კომპონენტიანი: იწყება ფსიქოლოგიის საკითხებით, გრძელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და მთავრდება საერთაშორისო საკითხებით. ამის შემდეგ უკვე ისინი 20-კითხვიან ტესტს წერენ“.*

ასოციაციაში ტრენინგ-მოდული შემუშავდა 2016 წელს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ბოლო 2 წელიწადში გადამზადება ყველამ გაიარა. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ასოციაციაში განგრძობადი გადამზადების შესაძლებლობა იყო, თუმცა, ტრენინგებს ადვოკატების მხოლოდ მცირე ნაწილი ესწრებოდა.

> *„მოდული შემუშავდა 2016 წელს, თუმცა, ხდება მისი მუდმივი განახლება და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. ამას აკეთებენ ის ექსპერტები, რომლებიც გადამზადების პროცესში არიან ჩართულები. ბოლო 2 წლის განმავლობაში აბსოლუტურად ყველამ გაიარა ტრენინგი. გვქონდა ჩაღრმავებული კურსი, რომელიც ბავშვთა ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული საკითხების დიდ ნაწილს მოიცავდა. ანალოგიური ჩაღრმავებული კურსი გვქონდა სისხლის სამართლის სფეროშიც. ისიც UNICEF-ის მხარდაჭერით განხორციელდა.“*

ასოციაციაში ადვოკატთა საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემა არ არის. ხარისხის მონიტორინგის დოკუმენტზე ასოციაცია 2019 წლის განმავლობაში მუშაობდა. რესპონდენტთა შეფასებით, მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის გააქტიურება, რაც





ხელს შეუწყობს სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობას და პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებას.

## სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

საქართველოში ასევე ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების სამსახური. იურიდიული დახმარების სამსახური სახელმწიფო ორგანიზაციაა, რომელიც მოწყვლადი ბენეფიციარებისთვის უფასო სამართლებრივ დახმარებას უზრუნველყოფს. იურიდიული დახმარების სამსახური ახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებას: იურიდიული კონსულტაცია ყველასთვის - ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე; სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენა (განცხადება, შუამდგომლობა და სხვ.); საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურება სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულისთვის, არასრულწლოვანი

იურიდიული დახმარების სამსახური არასრულწლოვან ბრალდებულს, მსჯავრდებულს, გამართლებულსა და დაზარალებულს უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს. არასრულწლოვანი მოწმე ამ უფლებით სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ ის გადახდისუუნაროა ან არის გამოსაკითხი პირი/მოწმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX, XX და XXII თავებითა და $144^1$ –$144^3$ მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის საქმეზე (2019 წლის 1 იანვრიდან). სისხლის სამართალწარმოებისას, იურიდიული დახმარების უფლებით ასევე სარგებლობენ 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები.[52]

იურიდიული დახმარების სამსახურში არიან ადვოკატები, რომლებიც შტატით განსაზღვრულ პოზიციებზე მუშაობენ. საჭიროების შემთხვევაში ადვოკატებს იწვევენ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან.

იურიდიული დახმარების სამსახურში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებული 161 ადვოკატია (101 საზოგადოებრივი ადვოკატი, 60 მოწვეული საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრიდან).[53]

იურიდიული დახმარების სამსახურში თანამშრომელთა გადამზადება ხორციელდება ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებული მოდულის საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

---

[52] http://www.legalaid.ge/ka/p/34/about-us, ნანახია 21.10.2019.

[53] იურიდიული დახმარების სამსახურის N LA 3 19 00028336 წერილი, 25.10.2019.

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები;
- ფსიქოლოგიური ნაწილი;
- დაზარალებული/მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა.[54]

აღნიშნული გადამზადების წესი საერთოა ყველა ადვოკატისთვის, მათ შორის მათთვისაც, ვინც იურიდიული დახმარების სამსახურში აპირებს მუშაობას. ადვოკატთა ასოციაციაში სპეციალიზაციის მისანიჭებლად ადვოკატთა შერჩევა ხორციელდება სამოტივაციო წერილის, დაწერილი კაზუსის შედეგებისა და დასკვნითი ტესტირების საფუძველზე.[55]

იურიდიული დახმარების სამსახურს დადგენილი აქვს დამატებითი კრიტერიუმები და პროცედურები იმ ადვოკატებისთვის, რომლებსაც აქვთ სურვილი, რომ იურიდიული დახმარების სამსახურში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით იმუშაონ. ამ სამსახურში ჩამოყალიბებულია ვიწრო სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით.

სპეციალიზაციის მსურველმა უნდა გაიაროს შემდეგი სახის ეტაპები: სამოტავივაციო წერილის დაწერა; ტრენინგის გავლა (სადაც ტექნიკური სახის მოთხოვნაა, რომ ტრენინგების/სამინარების 85%-ს უნდა დაესწროს) და გამოცდის საბოლოო ეტაპი - ტესტირება, სადაც 20 კითხვას უნდა უპასუხოს და მინიმუმ 75 ქულა აიღოს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ვიწრო სპეციალიზაცია მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობას არ გულისხმობს: სპეციალიზებული ადვოკატები არასრულწლოვანთა საქმეების გარდა სხვა საქმეებზეც მუშაობენ.

*„ვიწრო სპეციალიზაცია არის 3-ეტაპიანი. პირველ ეტაპზე კანდიდატმა უნდა დაწეროს სამოტივაციო წერილი და ახსნას, რატომ სურს არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობა. ამ სამოტივაციო წერილის სტანდარტიც დადგენილია და განსაზღვრულია, რას უნდა შეიცავდეს ის და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. მეორე ეტაპი არის სამდღიანი ინტენსიური ტრენინგის გავლა. ამ ტრენინგის მოდული UNICEF-თან ერთად შემუშავდა. კანდიდატი ვალდებულია, რომ ტრენინგების 85%-ს დაესწროს. ეს მოდული მოიცავს როგორც შიდა ეროვნულ კანონმდებლობას, ისე ფსიქოლოგიის საკითხებს და საერთაშორისო კანონმდებლობას.*

*ტრენინგის შემდგომი ეტაპია ტესტირება. ტესტირებაზე კანდიდატმა 75% -იანი ბარიერი უნდა გადალახოს. ეს მოდული მოიცავდა როგორც შიდა ეროვნულ კანონმდებლობას, ასევე ფსიქოლოგიურ ნაწილს და საერთაშორისო კანონმდებლობას.“*

[54] ადვოკატთა ასოციაციის და იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ერთიდაიგივე მოდულთან დაკავშირებით ბოლომდე არ ემთხვევა ერთმანეთს.
[55] იურიდიული დახმარების სამსახურის N LA 3 19 00028336 წერილი, 25.10.2019.





განგრძობითი სწავლების პროცესი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის 2018 წელს, გაერო-ს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა. განგრძობითი სწავლის გასავლელად ადვოკატები სამოტივაციო წერილის საფუძველზე, ასოციაციის თბილისისა და ქუთაისის ბიუროების თანამშრომლებიდან შეარჩიეს. ტრენინგი 23-მა ადვოკატმა გაიარა. განგრძობადი სწავლების პროცესში განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები;
- ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები;
- ძალადობა ბავშვებზე და გავლენა ბავშვის განვითარებაზე;
- დაზარალებული/მოწმე ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა.

იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განგრძობადი სწავლების პროცესში ჩატარდა ორი 3-დღიანი ტრენინგი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით.[56] რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ადვოკატთა ასოციაციაში განგრძობადი სწავლების პროცესი მხოლოდ იურიდიული დახმარების სამსახურშია უზრუნველყოფილი.

იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც არასრულწლოვნებთან მუშაობენ, იურიდიული დახმარების სამსახურში რაიმე განსხვავებული პირობები ანდა მოტივაციის ასამაღლებელი ღონისძიებები გათვალისწინებული არ არის. იმუშავებს თუ არა არასრულწლოვანთა საქმეზე, ეს ადვოკატების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

*„ძალიან რთულია, რომ ადამიანს, რომელიც ყველა კატეგორიის საქმეებზე მუშაობს და ფიქსირებული ხელფასი აქვს, მოტივაცია გაუჩინო. სახელფასო დანამატი ან პრემია სპეციალიზებული ადვოკატებისთვის არ გვაქვს. ამ ეტაპზე არასრულწლოვნის საქმეზე მუშაობა კეთილი ნების ამბავია.“*

ადვოკატთა საქმიანობის ხარისხის კონტროლისთვის ასოციაციაში შემუშავებულია გარკვეული სახის მექანიზმი. ეს პროცესი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 10-15 საქმეს არჩევენ; ხვდებიან კლიენტთან, რა დროსაც კლიენტი სპეციალურ კითხვარს ავსება; საჭიროების შემთხვევაში ხდება სხვა პირების გამოკითხვაც; ინფორმაციის ამოწმებენ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში და საქმეს შინაარსობრივად სწავლობენ.

*„პირველ ეტაპზე ვხვდებით კლიენტს. შეხვედრის დროს ის ავსებს კითხვარს. აქ შედის ყველა ის ინფორმაცია, რაც კლიენტს უკავშირდება და ვარკვევთ, აცილების საფუძვლები*

[56] იქვე.

*ხომ არ არსებობს. შემდეგ კითხვარი მოწმდება "ქეის ბანკში" - ჩვენ გვაქვს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა, სადაც შედის აბსოლუტურად ყველა ინფორმაცია კლიენტზე. შემდეგ უკვე "ქეის ბანკის" მეშვეობით ვამოწმებთ, რა უნდოდა კლიენტს და რეალურად რა გაკეთდა. არსებობს კიდევ ერთი ტიპის - კმაყოფილების კითხვარი. ამ კითხვარს კლიენტი საქმის დასრულების შემდეგ ავსებს. არასრულწლოვნებისთვისაც უნდა შევადგინოთ ასეთი კითხვარი. კითხვები ისე იქნება ფორმულირებული, რომ არასრულწლოვნებს პასუხის გაცემა არ გაუჭირდეთ."*

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ტრენინგ-მოდულები ადვოკატთა საქმიანობაში გამოკვეთილი ხარვეზების გათვალისწინებით დგება და ახალ საჭიროებებზეა მორგებული.

ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული დახმარების სამსახური ხარისხის კონტროლის სისტემასთან მიბმული სასწავლო ცენტრის მოწყობას გეგმავს.

*„გვინდა, რომ ჩვენს სამსახურს თავისი სასწავლო ცენტრი ჰქონდეს. ეს კონცეფცია მზად არის და ის საბჭოზე გატანილია. საბოლოო განხილვაც იყო და სავარაუდოდ, მომავალი წლისთვის სასწავლო ცენტრი გვექნება. ცენტრი ადვოკატთა საქმიანობის შეფასების ნაწილშიც იქნება ჩართული. სავალდებულო ტრენინგები ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე დაიგეგმება."*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ადვოკატთა კვალიფიკაციას უარყოფითად აფასებენ. მათი შეფასებით, იურიდიული დახმარების სამსახურში, ადვოკატთა ასოციაციისგან განსხვავებით, უფრო კვალიფიკაციური ადვოკატები არიან. მოსამართლეთა ერთი ნაწილიც ადვოკატთა სპეციალიზაციის ხარისხის შეფასებისას კრიტიკულია. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა სასამართლო პროცესზე ადვოკატი ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით არ მოქმედებს. მოსამართლეთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბრალდებული არასრულწლოვნის მიმართ ადვოკატის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

*„ადვოკატების კვალიფიკაცია ძალიან დაბალია, ვიტყოდი, კატასტროფულ დონეზეა."*

*„სპეციალიზებულ მოსამართლეებთან მიმართებაში უფრო ნაკლები პრობლემა გვაქვს. უფრო მეტი პრობლემაა სპეციალიზებულ მხარეებში, ადვოკატს და პროკურორს ვგულისხმობ. ვიცით, რომ პროკურორთა გარკვეულმა კატეგორიამ გადამზადება გაიარა. ადვოკატურაში კიდევ უფრო რთულადაა საქმე."*

*„თავდაპირველად ისე მიკვირდა, პროკურორების და ადვოკატების დამოკიდებულება რომ შეიცვალა ბავშვების მიმართ... რა გითხრათ, ეტყობა, ამ ტრენინგებმა და სპეციალიზაციის მიხედვით გადამზადებამ კარგად იმუშავა."*





## საპროცესო წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის მონაწილეობა

კანონის თანახმად, სისხლის სამართალწარმოების პროცესში საპროცესო წარმომადგენელი უნდა მონაწილეობდეს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის მიმართვის საფუძველზე განსაზღვრავს საპროცესო წარმომადგენლად თავის თანამშრომელს ან სხვა სანდო პირს, თუ:

- პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია;
- არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან პროცესში მის მონაწილეობაზე;
- კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს;
- არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია ან თვითმხილველია;
- კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული;
- კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.

საპროცესო წარმომადგენელი უფლებამოსილია:

- პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვნის საჭიროებების შესახებ;
- ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვნის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან;
- არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ;
- არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საპროცესო სტატუსის, მის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის, ხანგრძლივობისა და ფორმის, აგრეთვე დაკითხვის ჩატარების წესის შესახებ;
- არასრულწლოვანს აცნობოს სასამართლო მოსმენის დრო და ადგილი, აგრეთვე სხვა შესაბამისი მოქმედებების ჩატარების და დაცვის ხელმისაწვდომი ღონისძიებების შესახებ;

- არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ გამოტანილი საპროცესო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ;
- არასრულწლოვნის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმედებები.[57]

ადგილობრივი კანონმდებლობა განსაზღვრავს საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობის საკითხსაც. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლის, ხოლო გამოძიების სტადიაზე ბრალდების მხარის ინიციატივით, უზრუნველყოფილია საპროცესო მოქმედებაში ფსიქოლოგის მონაწილეობა. ასევე, განსაზღვრულია ამ პროცესში ფსიქოლოგის როლიც - „ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და საპროცესო მოქმედების დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას“.[58]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განსაზღვრულია, რომ პროცესის წარმოება უნდა განახორციელონ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა პირებმა. სპეციალიზაციის გავლა სავალდებულოა ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისთვისაც. თუმცა, მთავრობის დადგენილება[59], რომელიც ადგენს იმ უწყებებს, რომლებიც არიან პასუხისმგებელი შესაბამის სპეციალისტთა გადამზადებაზე, არ განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა მოახდინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლისა და ფსიქოლოგის გადამზადება. საპროცესო წარმომადგენლის ფუნქციას ყველაზე ხშირად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკი ითავსებს, რაც პრაქტიკითიც დასტურდება (იხ.ქვევით).

მთავრობის დადგენილების თანახმად, სოციალური მუშაკების გადამზადება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს ევალება (ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ პენიტენციური და პრობაციის სისტემაში მომუშავე სოციალურ მუშაკებზე).

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ის უწყება, რომელმაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკების გადამზადება უნდა უზრუნველყოს, ჩვენთვის მოწოდებული საჯარო ინფორმაციიდან[60] ჩანს, რომ სოციალურ მუშაკებს გადამზადება გავლილი აქვთ: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის - UNICEF შორის 2018 წლის ოქტომბერში გაფორმდა მემორანდუმი „სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების სპეციალიზაციის“ თაობაზე.

[57] იქვე, მ.50.
[58] იქვე, მ.23
[59] „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და ამ პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N668 დადგენილება.
[60] საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #01/11486





პროექტის ფარგლებში ტრენერად გადამზადდა 10 თანამშრომელი, 69 სოციალურმა მუშაკმა კი სპეციალიზაცია გაიარა.

იხილეთ დეტალური ცხრილი (აღნიშნილ ცხრილში ინფორმაცია მოცემულია მხოლოდ 62 სოციალურ მუშაკზე)[61]:

**თბილისი**

| რაიონი | სოციალურ მუშაკთა რაოდენობა |
|---|---|
| ძველი თბილისი | 2 |
| გლდანი-ნაძალადევი | 2 |
| დიდუბე-ჩუღურეთი | 1 |
| ვაკე-საბურთალო | 3 |
| ისანი-სამგორი | 3 |
| სულ | 11 |

**სხვა რეგიონები**

| რეგიონი | სოციალურ მუშაკთა რაოდენობა |
|---|---|
| აჭარა | 9 |
| გურია | 1 |
| იმერეთი | 8 |
| კახეთი | 5 |
| სამცხე-ჯავახეთი | 4 |
| რაჭა | 1 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 4 |

[61] იქვე.

| | |
|---|---|
| შიდა ქართლი | 5 |
| ქვემო ქართლი | 12 |
| მცხეთა-მთიანეთი | 2 |
| სულ | 51 |

თვისებრივი კვლევის პროცესში ინტერვიუები ჩატარდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების და მანდატურის სამსახური სოციალურ მუშაკებთან, მანდატურის სამსახურის მენეჯმენტის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ჩვენს მიერ გამოკითხული ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან ხშირად ურთიერთობა აქვთ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების იმ თანამშრომლებს, რომლებსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზაცია არ აქვთ გავლილი. იგივე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების სპეციალისტების გადამზადება ამჟამად მიმდინარეობს. არასრულწლოვანთა გამოკითხვა/დაკითხვის პროცესში მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკები მონაწილეობენ. მანდატურის სამსახურის სოციალურ მუშაკებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით გადამზადება გავლილი აქვთ.

> *„სოციალურ მომსახურებაში მომუშავე სოცმუშაკების უმრავლესობას, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, არა აქვს არანაირი სპეციალიზაცია და არც ტრენინგი აქვს გავლილი.“*

არასრულწლოვნის დაკითხვის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები მონაწილეობენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დაკითხვის პროტოკოლის საკითხებზე ფსიქოლოგებს გადამზადება გავლილი აქვთ. დაკითხვის პროცესში ჩართვის შემთხვევაში ფსიქოლოგებისთვის გასამრჯელო გათვალისწინებული არ არის:

> *„დაკითხვის პროტოკოლის შესახებ ფსიქოლოგებს ტრენინგი გავლილი აქვთ. ტრენერთა ტრენერებიც შერჩეულები არიან. ზოგჯერ გვთხოვენ, რომ დაკითხვის დროს ფსიქოლოგები გავუგზავნოთ. ადამიანურ რესურსს თუ გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ ფსიქოლოგები ამ სამუშაოსთვის ანაზღაურებას არ იღებენ, ეს დიდი ტვირთია.“*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გადამზადდა სოციალური მუშაკების ის ნაწილი, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით საპროცესო წარმომადგენლობას ახორციელებს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ გადამზადება არ იყო საკმარისი. მეორე რესპოდენტმა კი აღნიშნა, რომ გადამზადების შესაძლებლობა სოციალური მუშაკების მხოლოდ ნაწილს ჰქონდა.





> *„ყველას უწევს საპროცესო წარმომადგენლობა და თვითონაც ამბობენ, რომ გადამზადება სჭირდებათ.”*

> *„არიან ისეთი სოცმუშაკები, ვისაც გადამზადება საერთოდ არ გაუვლია. არის ისეთი კატეგორიაც, ვინც გადამზადება გაიარა, მაგრამ ის ტრენინგი საკმარისი არ იყო.“*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ფსიქოლოგების სპეციალიზაცია არ ხდება: ნორმატიულად არ არის განსაზღვრული, არასრულწლოვანთან რა კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგი უნდა მუშაობდეს. ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ფსიქოლოგის დიპლომიც საკმარისია, მათ კვალიფიკაციას კი ყურადღებას არ აქცევენ, რის გამოც, შესაძლოა, ბავშვის ინტერესი დაზიანდეს.

> *„ფსიქოლოგები სპეციალიზაციას არ გადიან. აუცილებელია, რომ ფსიქოლოგებისთვის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები განისაზღვროს და მკაფიოდ იყოს გაწერილი, არასრულწლოვანთან რა კატეგორიის ფსიქოლოგმა უნდა იმუშაოს. არ შეიძლება, რომ ყველა, ვისაც იცნობენ და ვისაც იმ წუთას სცალია, მიიყვანონ და პროცესზე, ან გამოკითხვაზე დასვან.“*

სოციალურ მუშაკთა ნაწილს გარკვეული გადამზადება გავლილი აქვს, თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ მათი სერტიფიცირება არ მომხდარა. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ საპროცესო წარმომადგენელს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება და მას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ გარკვეული ცოდნა აუცილებლად უნდა ჰქონდეს. როგორც კვლევის მონაწილე ერთ-ერთი სოციალური მუშაკი აცხადებს:

> *„არიან ისეთი სოცმუშაკები თბილისშიც და რაიონებშიც, რომლებსაც არა აქვთ არანაირი სპეციალიზაცია და არც ტრენინგი აქვთ გავლილი ამ სფეროში.“*

ამავე რესპონდენტის თქმით, 2021 წლისთვის სისტემაში არაპროფესიონალი სოციალური მუშაკი აღარ იქნება.

ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით სპეციალიზაცია არ გაუვლია.

> *„ჩვენი სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით არ ხდება და არც მომავალში იგეგმება.“*

ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა თვისებრივი კვლევის დროს განაცხადა:

> *"როგორც აგვიხსნეს, ჩვენი სპეციალიზაცია მოითხოვდა ძალიან დიდ ხარჯს. სპეციალიზაცია არ ხდება არცერთი მიმართულებით."*

რესპონდენტები განმარტავენ, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან სპეციფიური მუშაობაა საჭირო, რაც განსაკუთრებულ უნარებს მოითხოვს, სოციალური მუშაკების დიდი ნაწილს კი ამ მიმართულებით სპეციალიზაცია საერთოდ არ აქვს გავლილი.

> *„ვიღაცამ ხომ უნდა გასწავლოს, როგორ მიუდგე არასრულწლოვანს, რას მიაქციო ყურადღება... სპეციალიზაცია ისევ პრობლემაა. ჩვენი გადამზადება ახლო მომავალში არ იგეგმება."*

ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მას ძალიან უნდა სპეციალიზაციის გავლა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ აქვს:

> *„მე უწყვეტი განათლების მომხრე ვარ.  კარგი იქნება, რომ სპეციალიზაციის გავლის შესაძლებლობა მქონდეს. ახალი ცოდნა უფრო გამაძლიერებს და მეცოდინება, სად და როგორ ვიმუშავო. თანამშრომლები, რომლებიც სამსახურიდან წავიდნენ, ამბობდნენ, რომ მათ სპეციალიზაცია ჰქონდათ გავლილი, გვითხრეს, გადამზადება კიდევ იქნებაო. ჩვენც ველოდებით."*

ცალკეულ რესპონდენტთა მხრიდან გამოწვევად დასახელდა ზედამხედველობის საკითხიც. *"რეალურად სუპერვიზია არ არის მხოლოდ ,,ქეისების'' განხილვა, მას უფრო სხვა დატვირთვა აქვს,"*- აცხადებს ერთ-ერთი სოციალური მუშაკი. რესონდენტების აზრით, პრობლემაა ისიც, რომ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ზოგიერთ რაიონულ განყოფილებაში იურისტი საერთოდ არ არის.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საპროცესო წარმომადგენლობა მათთვის ძალიან დიდი ტვირთია, რადგან ზოგჯერ პროცესზე ყოფნაში მთელი დღე ეკარგებათ.

> *„საპროცესო წარმომადგენლობა ძალიან დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ იქ  არ უნდა ვიყოთ. სოციალური მუშაკის ყოფნა პროცესზე ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის, იმისთვის, რომ მისი უფლებები არ დაირღვეს."*

იგივე სოციალურმა მუშაკმა განაცხადა, რომ სმენია ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა გამოკითხვის პროცესში ბავშვს სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ანდა მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინეს.





სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ ხშირად არასრულწლოვნის გამოკითხვა იზოლირებულ სივრცეში არ მიმდინარეობს და გამოკითხვის პროცესში არასპეციალიზებული პირებიც ერთვებიან.

> *„სადაც იზოლირებული სივრცე არ არის, ფაქტობრივად, ყველა იქ მყოფი ჩართულია დაკითხვის პროცესში. რა თქმა უნდა, ვეუბნებით, რომ ბავშვის ასეთ ვითარებაში დაკითხვა არ შეიძლება, ვაწყვეტინებთ პროცესს და ვითხოვთ ვითარების გამოსწორებას."*

არის შემთხვევები, როცა სოციალური მუშაკები საპროცესო წარმომადგენლობის გამო შაბათ-კვირასაც მორიგეობენ, ზოგჯერ კი ღამის საათებშიც უწევთ გასვლა.

სოციალური მუშაკებისთვის მთავარ გამოწვევად რჩება ზეგანაკვეთური სამუშაო რეჟიმი - დამატებითი სამუშაო საათები, რომლის ანაზღაურებაც არ ხდება: *„შაბათ-კვირას რომ ვმუშაობთ, არ ანაზღაურებენ,"* - ამბობს რესპონდენტი და იქვე დასძენს, რომ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულება საკმაოდ ხშირად უწევთ.

> *„დღეს მორიგე ვარ და დღეს არის ჩანიშნული საპროცესოც. საპროცესო იქნება 6 სთ-ის შემდეგ და მე იქ აუცილებლად უნდა ვიყო. მივდივარ,  მაგრამ ამის შესახებ სისტემამ არაფერი იცის. უფროსებმა, რა თქმა უნდა, იციან, მაგრამ ხომ ხვდებით, ფინანსურად ამას არავინ გაითვალისწინებს."*

სოციალური მომსახურების სააგენტოს ფსიქოლოგები არასრულწლოვნის დაკითხვა/გამოკითხვის პროცესშიც ერთვებიან. თუ თავისუფალი დრო არ აქვთ, გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმა უწევთ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მისი მთავარი ფუნქციაა, რომ დაკითხვის პროცესში ბავშვს არასასურველი კითხვები აარიდოს. იგივე რესპონდენტის თქმით,  სამართალდამცავი სტრუქტურები მის რეკომენდაციებს ყოველთვის ითვალისწინებენ.

> *„მაძლევენ უფლებას, რომ დაკითხვის დროს მე თვითონ დავსვა შეკითხვები. ზოგჯერ არის მომართვა, რომ ბავშვის გამოკითხვა  NHCID პროტოკოლით მთლიანად მე განვახორციელო ."*

ამავე რესპონდენტის განმარტებით, ის შესწრებია ფაქტს, როდესაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი მისი მისვლის დროს უკვე საუბრობდა მომხდარი ძალადობის შესახებ და მის მონათხრობს ძალიან ბევრი ისეთი პირი უსმენდა, რომელიც გამოძიების უშუალო მონაწილე არ იყო.

> *„შენიშვნის შემდეგ, ბავშვი გავიყვანეთ ცალკე ოთახში და გამოკითხვას მხოლოდ პროცესში მონაწილე პირები დავესწარით. ეს იყო 2015 წელს."*

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ის პერიოდულად გადის გადამზადებას და ბოლო ოთხი წლის მანძილზე, ჯამში, ათამდე ტრენინგს დაესწრო, მათ შორის ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან და რთული ქცევის ბავშვებთან მუშაობის საკითხებზე.

კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეფასებით, სოციალური მუშაკები მუშაობის პროცესში სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან, მაგრამ ხშირად თვითონ ისინიც სცოდავენ.

> *„თუ არ გინდა მუშაობა, მაშინ სამსახურიდან უნდა წახვიდე, რადგან ადამიანების და ბავშვების სიცოცხლესთან გაქვს საქმე.“*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, საპროცესო წარმომადგენლების სპეციალიზაცია ძალიან დაბალ დონეზეა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ფსიქოლოგის კვალიფიკაციასთან, როლთან და ჩართულობასთან დაკავშირებით, ა/ო RIVG მიერ განხორციელდა კვლევა სახელწოდებით - „ფსიქოლოგთა როლი გამოძიების ეტაპზე დაზარალებული და მოწმე ბავშვების გამოკითხვისას/დაკითხვისას“[62]. აღნიშნულ კვლევაში ფსიქოლოგების სპეციალიზაციის პროცესში არსებული გამოწვევები დეტალურად არის ასახული.

[62] https://www.rivg.ge/media/1001537/2020/01/20/4811c6652cd87c83c6ac059fca3697b5.pdf